ბ. ძალიან მიყვარხარ, ბებია!
გ. გილოცავ, ბებია!

5. შეავსეთ გამოტოვებული სიტყვები და წაიკითხეთ.

– ახლა სკოლაში ვარ. დაბადების დღეს _____!
ძალიან _____!
– მადლობა, ნათია. ჩვენთან არ _____?
– კი, საღამოს აუცილებლად _____.

Track 12. 6. მოისმინეთ სრული დიალოგი და შეამოწმეთ. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. ვის აქვს დაბადების დღე?
ბ. ვინ ულოცავს მას დაბადების დღეს?
გ. საიდან ჩანს, რომ ისინი ერთად არ ცხოვრობენ?
დ. რას ჰპირდება შვილიშვილი ბაბუას?

1. **წაიკითხეთ და დაასახელეთ, რომელი აქტივობაა თქვენთვის უჩვეულო დაბადების დღისთვის.**

ა. ვერთობით და ვმხიარულობთ.
ბ. ვცეკვავთ და ვმღერით.
გ. ვკითხულობთ მისალოცბარათს, წიგნს, ლექსებს.
დ. ვჩუქნით საჩუქრებს, ყვავილებს.
ე. ვუყურებთ ტელევიზორს და ვუსმენთ მუსიკას.
ვ. ვთამაშობთ ბურთს.
ზ. ვჭამთ ტკბილეულს და ვსვამთ წვენს.
თ. ვამზადებთ დავალებებს, სადღესასწაულო კერძებს.
ი. ვულოცავთ დაბადების დღეს.

2. **გამოიყენეთ წინა დავალება და ისაუბრეთ თქვენ შესახებ.**

რას აკეთებთ და როგორ ერთობით თქვენ დაბადების დღეზე?

3. **წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს.**

რას ვაკეთებთ **ახლა**?	რას გავაკეთებთ **შემდეგ**?
ჩვენ ახლა	**ჩვენ ხვალ**
ვუყურებ**თ** ტელევიზორს	**ვ**უყურებ**თ** ტელევიზორს
ვთამაშ**ო**ბ**თ**	**ვ**ი**თ**ამაშ**ე**ბ**თ**
ვმხიარულ**ო**ბ**თ**	**ვ**ი**მ**ხიარულ**ე**ბ**თ**
ვცეკვ**ავ**თ	**ვ**ი**ცეკვ**ებ**თ
ვმღერ**ი**თ სიმღერებს	**ვ**ი**მ**ღერ**ებ**თ სიმღერებს
ვჩუქნ**ი**თ საჩუქრებს	**ვ**ა**ჩ**უქ**ებ**თ საჩუქრებს
ვულოცავ**თ** დაბადების დღეს	**მი**ვ**ულ**ოცავ**თ** დაბადების დღეს
ვერთობი**თ**	**გა**ვ**ერ**თობი**თ**
ვჭამ**თ** ტკბილეულს	**შე**ვ**ჭ**ამ**თ** ტკბილეულს
ვუსმენ**თ** მუსიკას	**მო**ვ**უ**სმენ**თ** მუსიკას
ვს**ვ**ამ**თ** წვენს	**და**ვ**ლ**ევ**თ** წვენს
ვკითხ**ულ**ობ**თ** ლექსებს	**წა**ვ**ი**კითხ**ავ**თ ლექსებს

4. გამოიყენეთ წინა დავალება და შეავსეთ წინადადებები ნიმუშების მიხედვით.

რას გავაკეთებ ჯერ და რას – შემდეგ?

ნიმუში: მე ჯერ *ვითამაშებ* (**თამაში**) და შემდეგ *ვუყურებ* (**ყურება**) ტელევიზორს.

ა. **მე** ჯერ _____ (მილოცვა) და შემდეგ _____ (ჭამა)

ბ. **მე** ჯერ _____ (ჭამა) და შემდეგ _____ (გართობა)

გ. **მე** ჯერ _____ (ჩუქება) და შემდეგ _____ (მხიარულება)

დ. **მე** ჯერ _____ (დალევა) და შემდეგ _____ (მღერა)

ე. **მე** ჯერ _____ (წაკითხვა) მისალოცს და შემდეგ _____ (ჩუქება) საჩუქარს.

ვ. **მე** ჯერ _____ (გართობა) და შემდეგ _____ (ჭამა) ტორტს.

რას გააკეთებ ჯერ და რას – შემდეგ?

ნიმუში: შენ ჯერ *ითამაშებ* (**თამაში**) და შემდეგ *უყურებ* (**ყურება**) ტელევიზორს?

ა. **შენ** ჯერ _____ (მილოცვა) და შემდეგ _____ (ჭამა)?

ბ. **შენ** ჯერ _____ (ჭამა) და შემდეგ _____ (გართობა)?

გ. **შენ** ჯერ _____ (ჩუქება) და შემდეგ _____ (მხიარულება)?

დ. **შენ** ჯერ _____ (დალევა) და შემდეგ _____ (მღერა)?

ე. **შენ** ჯერ _____ (წაკითხვა) მისალოცს და შემდეგ _____ (ჩუქება) საჩუქარს?

ვ. **შენ** ჯერ _____ (გართობა) და შემდეგ _____ (ჭამა) ტორტს?

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ თქვენი ვარიანტები.

როგორ ფიქრობთ, რას გააკეთებენ ბავშვები თემურის დაბადების დღეზე?

ა. გაერთობიან და იმხიარულებენ.
ბ. იცეკვებენ და იმღერებენ.
გ. წაიკითხავენ მისალოც ბარათს, წიგნს, ლექსებს.
დ. აჩუქებენ საჩუქრებს, ყვავილებს.
ე. უყურებენ ტელევიზორს და მოუსმენენ მუსიკას.
ვ. ითამაშებენ ბურთს.
ზ. შეჭამენ ტკბილეულს და დალევენ წვენს.
თ. მოამზადებენ დავალებებს, სადღესასწაულო კერძებს.
ი. მიულოცავენ დაბადების დღეს.

1. დააკვირდით სურათს და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

დაასახელეთ, რას აკეთებენ თემური და მისი მეგობრები.

2. უპასუხეთ შეკითხვებს სურათის მიხედვით.

ა. რას კითხულობს ლალე?

ბ. რას მიირთმევენ ბავშვები?

გ. რა აჩუქეს თემურს დაბადების დღეზე?

დ. რა აწყვია სუფრაზე?

3. გამოიცანით, ვინ არის.

ა. დგას მაგიდასთან და იცინის.

ბ. დგას ფანჯარასთან და კითხულობს.

გ. მსუქანია. ზის თეონას გვერდით და ჭამს ნამცხვარს.

დ. აცვია ვარდისფერი კაბა და უსმენს ლალეს.

4. დაუბრუნდით სურათს და ისაუბრეთ მის შესახებ.

ე. რა ხდება? ვისი დაბადების დღეა?

ვ. ვინ არიან მასთან სტუმრად?

ზ. აღწერეთ ოთახი (სად რა დგას, რა აწყვია, რა კიდია? მიუთითეთ ფერი, ზომა და რაოდენობა)

თ. აღწერეთ და დაახასიათეთ ბავშვები (როგორია, რა ფერის და როგორი თმა აქვს, რა უკეთია, რა აცვია და რა ფერის, სად არის და რას აკეთებს?)

რას აკეთებენ ისინი?

ერთობიან
მხიარულობენ
ცეკვავენ და მღერიან
ჩუქნიან საჩუქრებს
ულოცავენ დაბადების დღეს
ჭამენ ტკბილეულს, ხაჭაპურს
სვამენ წვენს
კითხულობენ მისალოც ბარათს

5. წაიკითხეთ მისალოცი ბარათები და შეადარეთ ერთმანეთს.

თემურ!

გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ომარი

ა. ვის ეკუთვნის ბარათი?
ბ. რას უსურვებს ომარი თემურს?

ჩემო თემურ!

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ყველაფერ კარგს და ბევრ სიხარულს.

შენი ბებია და ბაბუა

ა. ვის ეკუთვნის ბარათი?
ბ. რას უსურვებენ ბებია და ბაბუა თემურს?

6. წაიკითხეთ და დაასახელეთ არასწორი ვარიანტები.

გილოცავ:

ა. დაბადების დღეს
ბ. ახალ წელს
გ. ჯანმრთელობას
დ. ბავშვთა დღეს
ე. ბევრ სიხარულს

გისურვებ:

ა. ბედნიერებას
ბ. ჯანმრთელობას
გ. დაბადების დღეს
დ. ბევრ სიხარულს
ე. ყველაფერ კარგს

7. დაწერეთ დაბადების დღის მისალოცი ბარათები და წაიკითხეთ.

გამოიყენეთ!

... მასწავლებელო!
ფერიდე!
ჩემო ბებია!
მამიკო! ...

თქვენი მოსწავლე ...
შენი მეგობარი ...
ორჰანი
შენი შვილი / შვილიშვილი

1. **დააკვირდით სურათებს და შეადარეთ ერთმანეთს.**

ა. ვისი დაბადების დღეა პირველ სურათზე? მეორე სურათზე?

ბ. ვინ ულოცავენ იუბილარს მეორე სურათზე?

გ. სად ცხოვრობს დათვი? მზე?

დ. მოძებნეთ მსგავსება და განსხვავება სურათებ შორის და დაასახელეთ.

Track 13 2. **მოისმინეთ სიმღერა და დააკავშირეთ სურათთან. ვის ულოცავენ დაბადების დღეს?**

3. მოძებნეთ პასუხები ლექსში და დაასახელეთ.

ა. ვის აქვს დაბადების დღე?
ბ. ვინ აჩუქა იუბილარს ტორტი?
გ. რისი ტორტი აჩუქეს?
დ. ვინ ესტუმრა იუბილარს დაბადების დღეზე?
ე. რას აკეთებს მზე?
ვ. რა გააკეთა წვიმის წვეთმა სანთლების ანთებამდე?
ზ. რას ნიშნავს „შესანსლა“?

4. თავიდან წაიკითხეთ ლექსი და დააკავშირეთ წინა გვერდზე მოცემულ სურათთან.



წვიმის წვეთები

ერთი ბეწო წვეთი

ცხრათვალა მზეს დაბადების დღე აქვს,
ხუმრობაა? გახდა დიდი გოგო,
გამოუცხო ცამ ნისლების ტორტი
და ღრუბლების ბეზეებით მორთო.

მოშხაპუნდა ქალბატონი წვიმა,
მოიყვანა ერთი ბეწო წვეთი,
შემოუსხდნენ მეგობრები სუფრას,
მზე ხალისობს, მზე იცინის, მღერის.

ვერ ისვენებს ერთი ბეწო წვეთი,
ტკბილეულსაც ვერ აშორებს თვალებს,
სულ შესანსლა ღრუბლის ბეზეები,
სანამ ტორტზე დაანთებდნენ სანთლებს.

ლელა ცუცქირიძე

ტორტი

სანთლები

5. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

„შემოდგომის წვრილი წვიმა ზაფხულის მსხვილსა და შხაპუნა წვიმას არ ჰგავს“.

ა. როგორი წვიმა იცის შემოდგომით?
ბ. რომელია „წვრილის“ საპირისპირო სიტყვა?
გ. როგორია წვიმა ზაფხულობით?
დ. დაუბრუნდით ლექსს. წელიწადის რომელ დროს აქვს მზეს დაბადების დღე? საიდან ჩანს?

6. ისწავლეთ ლექსი ზეპირად.

ითამაშეთ და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა.

3

ისაუბრე შენი ოჯახის წევრების შესახებ.

ა. ვინ არის, რა ჰქვია და რამდენი წლისაა?

ბ. როდის აქვს დაბადების დღე?

გ. რას აკეთებს?

4

დაპატიჟე შენი კლასელები დაბადების დღეზე.

ა. როდის მოვიდნენ?

ბ. სად მოვიდნენ?

გ. კიდევ ვინ იქნება?

დ. იქ რას გააკეთებთ / როგორ გაერთობით?

9

შეადგინე მისალოცი ბარათი მასწავლებლის მითითებით.

2

ისაუბრე სურათის შესახებ.

ა. ვინ არიან სტუმრად?

ბ. ვინ სად არის და რას აკეთებს?

ა. რა ხდება?

ბ. ვისი დაბადების დღეა?

8

დაასახელე ციფრები.

37 46 58 67 83 99

34 44 53 66 76 87 97

7

უპასუხე შეკითხვებს.

ა. რამდენი და-ძმა გყავს?

ბ. ვინ არის უფროსი / უმცროსი?

გ. შენ ვისზე უფროსი / უმცროსი ხარ?

დ. ვინ არის შენზე უფროსი / უმცროსი?

1

ისაუბრე შენ შესახებ.

ა. სად დაიბადე?

ბ. როდის დაიბადე?

გ. როდის გქონდა / გექნება დაბადების დღე?

დ. რამდენი წლის გახდი / გახდები?

5

დაითვალე მასწავლებლის მითითებით.

6

მიულოცე დაბადების დღე ზეპირად:

ა. მასწავლებელს

ბ. მეწყვილეს

წაიკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.

რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	

4

92 43 85 67 31 37 98 77 83 49 55 83



გარემო. შინაური ცხოველები და მათი ნაშიერი

1. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. სად მდებარეობს სოფელი?
ბ. რა არის ტყის პირას?
გ. რა არის მწვანე მთების უკან?
დ. რა არის მთის ძირში?
ე. სად არის მდინარე?
ვ. რა არის მინდორში?





2. ისაუბრეთ თქვენი სოფლის შესახებ.

რა ჰქვია სოფელს? სად მდებარეობს ის? რა არის სოფელში?

1. წაიკითხეთ და შეავსეთ ცხრილი.

ჩემს სოფელს ჩხუტუნეთი ჰქვია. ის მაჭახლის ხეობაში მდებარეობს. ირგვლივ ტყიანი მთები აკრავს. სოფელში მდინარე მაჭახელა ჩამოედინება. სოფლის ახლოს თამარის ჩანჩქერია. ჩვენი სახლი ტყესთან ახლოს დგას. ჩხუტუნეთში ზაფხული თბილი და გრილია. არც ზამთარია ძალიან ცივი.

მაჭახლის ვიწრო ხეობაში მდებარეობს ჩემი მეგობრის სოფელი ჯამილიც. სოფელი მთის კალთაზეა შეფენილი და სულ ტყეშია ჩაფლული. ჩემი სოფელი მაჰმუდიეც მთაშია. იქ ჩემი ბებია და ბაბუა ცხოვრობენ. სოფლის პირას მდინარეა. გარშემო იქაც მაღალი და ტყით დაფარული მთებია.

	ჩხუტუნეთი	ჯამილი	მაჰმუდიე
სად მდებარეობს?			
ვისი სოფელია?			
რა აკრავს გარშემო?			
რა არის: • სოფელში? • სოფლის სიახლოვეს?			

2. დააკავშირეთ შეკითხვები პასუხებთან.

1. სად მდებარეობს?	ა. ტყე	1. _____
2. რა აკრავს გარშემო?	ბ. ტყესთან	2. _____
3. რასთან ახლოსაა?	გ. ტყეში	3. _____

3. დაუბრუნდით ბავშვების რეპლიკებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. ვისი სოფელია ჩხუტუნეთი? ჯამილი? მაჰმუდიე?

ბ. სად ჩამოედინება მდინარე მაჭახელა?

გ. რომელი სოფლები მდებარეობს მაჭახლის ხეობაში?

დ. სად არის თამარის ჩანჩქერი?

ე. როგორი კლიმატია ჩხუტუნეთში?

4. დაასრულეთ სიტყვები.

ა. ჩემი სოფელი ვიწრო ხეობა_____ მდებარეობს.

ბ. თბილის_____ მდინარე მტკვარი ჩამოედინება.

გ. ჩემი სოფლ_____ ახლოს მაღალი მთებია.

დ. ტყეს_____ ახლოს პატარა მდინარეა.

ე. მდინარ_____ პირას ჩვენი სახლი დგას.

ვ. ჩემი სოფელი მთის კალთა_____ არის შეფენილი.

5. შეავსეთ რეპლიკების მიხედვით.

– რა ჰქვია შენს სოფელს?
– მაჰმუდიე.
– სად მდებარეობს შენი სოფელი?
– (1) _____
– ვინ ცხოვრობს იქ?
– (2) _____
– არის შენს სოფელში მდინარე?
– (3) _____
– სად არის მდინარე?
– (4) _____
– რა აკრავს სოფელს გარშემო?
– (5) _____

6. შეადგინეთ მსგავსი დიალოგი სოფელ ჩხუტუნეთთან დაკავშირებით და წაიკითხეთ.

1. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ.

თხა

ქათამი


კატა

მამალი

პეპელა

ცხვარი


ჭრიჭინა

კალია

ჭიანჭველა

ბუზი


ბატი

ძაღლი


ძროხა

ფუტკარი


ჭიამაია

ცხენი

2. დაუბრუნდით სურათებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. რომელია ცხოველი? ფრინველი? მწერი?

ბ. რომელია აქედან შენს სოფელში და რომელი – არა?

3. დააკვირდით და შეადარეთ ერთმანეთს.

რა აქვთ საერთო და რა – არა?

4. წაიკითხეთ და გამოიცანით, რომელია.

ა. მწერია. ძალიან უყვარს შრომა. ამზადებს თაფლს. ცხვირზე აქვს ნესტარი.

ბ. ფრინველია. აქვს ბატზე მაღალი ფეხები. დებს კვერცხს და კაკანებს.

გ. ფრინველია. აქვს ლამაზი კუდი და წითელი ბიბილო. დილით ადრე ყივის.

დ. თეთრი ცხოველია. აქვს პატარა კუდი და ყურები. ბღავის.

ე. არის შავი მწერი. აქვს ორი სწორი, გრძელი ფრთა. ჭრიჭინებს.

ვ. შავი მწერია. არის ყავისფერიც. ტანზე ორი გამჭვირვალე ფრთა აქვს. სულ ბზუის.

ზ. ცხოველია. აქვს გრძელი კუდი. ზმუის. ჭამს ბალახს და გვაძლევს რძეს.

Track 14 5. მოისმინეთ და გამოიცანით, რა არის.

6. მოძებნეთ მათი ნაშიერები და წაიკითხეთ, რა ჰქვიათ.



1. დააკვირდით სურათს და აღწერეთ.



2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სურათთან.

რეზო ინანიშვილი

წვიმასა და მზეში

(ნაწყვეტი)

სულ მალე არდადეგები დაიწყება და სოფელში წავალ. იქ მდინარეა, ჩემი საყვარელი ბროლია! მართლაცდა, რა უნდა იყოს ამაზე უკეთესი? ზიხარ კლდის ქიმზე და ანკესი გიჭირავს. შენ მაღლა ვერხვის ხალისიანი ფოთლები ჩურჩულებენ, დაბლა კამკამა ტალღები ჭყუმპალაობენ. წყალი წმინდაა, ნაირფერი კენჭებით და ლიფსიტებით სავსე.

მაგრამ მარტო თევზის დაჭერა კი არ არის საქმე! ცა სუფთაა, მაღალი, მაღალი და იქიდან მზის დამათრობელი სხივები ეშვება.

შორს, მთებზე, წვიმით სავსე ღრუბლები დაეხეტებიან. ტყეებს სილურჯე მორევია, საძოვრებზე კენჭებივით მიმოფანტულა ცხვარ_ძროხა.

დაბლა, სოფლებში, ფერები მეტია – სახლების წითელი სახურავები, ცისფერი აივნები, ვენახებში დევებივით დამდგარან ბუმბერაზი კაკლის ხეები, ხასხასებს ყანა...

ჭრიჭინებენ ჭრიჭინები, მირბი_მორბიან მსხვილ_მსხვილი ჭიანჭველები, დაფარფატებენ ფრთახატულა პეპლები, ბზუიან ფუტკრები...

ხანდახან მოულოდნელად ამოიფხორება საავდრო ღრუბელი, წამოვა, აიშლება, მოედება მთელ ცას და გრუხუნებს და ელავს.

ფეხი არ მოიცვალო და ნახავ, როგორ გაჩუმდებიან ჭრიჭინები, როგორ აყიყინდებიან ბაყაყები, როგორ ჩამოივლის ცივი, ნოტიო ნიავი და როგორ ჩაჰქუფრავს ყველაფერს.

3. დაასახელეთ, რომელი ინფორმაცია არ არის სურათზე.

4. მოძებნეთ სურათზე და მიუთითეთ.

ლიფსიტა კენჭი ჭიანჭველა ფუტკარი კალია

5. დაასახელეთ სწორი ვარიანტები.

ლიფსიტა არის:

1. თევზის შვილი
2. პატარა თევზი
3. პატარა ქვა

ჭყუმპალაობს, ანუ:

1. წყალში თამაშობს
2. ცურაობს
3. თევზაობს

კენჭი არის:

1. თევზის შვილი
2. პატარა თევზი
3. პატარა ქვა

ჩურჩულებს, ანუ:

1. იცინის
2. თამაშობს
3. ჩუმად ლაპარაკობს

6. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

1. კარგი ამინდი	ა. ავდარი
2. ცუდი ამინდი	ბ. დარი

1. ხალისიანი	ა. სუფთა
2. კამკამა	ბ. მხიარული

7. დაასახელეთ ზედმეტი სიტყვა.

ა.	კამკამა	სუფთა	წმინდა	ჭუჭყიანი
ბ.	ბუმბერაზი	ძალიან დიდი	პატარა	უზარმაზარი
გ.	ნოტიო	სუფთა	სველი	ნესტიანი

8. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. რა ჰქვია მდინარეს?

ბ. რომელ წინადადებაში ჩანს, რომ ბიჭი თევზაობს?

გ. რა ფერისაა „წვიმით სავსე ღრუბლები“?

დ. როდის ყიყინებენ ბაყაყები?

ე. რას გააკეთებენ ჭრიჭინები წვიმის დროს?

9. დააკავშირეთ საპირისპირო სიტყვები და გადაწერეთ.

1. სუფთა	ა. მშრალი
2. ბუმბერაზი	ბ. ცარიელი
3. სველი	გ. ჭუჭყიანი
4. სავსე	დ. პატარა

ა. _____

ბ. _____

გ. _____

დ. _____

1. დააკავშირეთ ტექსტის მიხედვით და გადაწერეთ რვეულში.

როგორი?	რა?
1. ხალისიანი	ა. კაკლის ხეები
2. კამკამა	ბ. ღრუბლები
3. ცივი და ნოტიო	გ. ჭიანჭველები
4. ბუმბერაზი	დ. პეპლები
5. მსხვილ-მსხვილი	ე. ტალღები
6. ფრთახატულა	ვ. ნიავი
7. საავდრო	ზ. ფოთლები

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____

2. შეარჩიეთ წინა დავალებიდან და ჩაწერეთ სათანადო ციფრი.

ა. ზამთარში ზღვაზე _____ ჰავაა.

ბ. ჩემს სოფელს გარშემო _____ მთები აკრავს.

გ. დილით ადრე ზღვა სუფთა და _____.

დ. შემოდგომით _____ ჩიტები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ.

ე. ცაზე _____ ღრუბლები გამოჩნდა.

ვ. ჩემი მეგობარი ძალიან მხიარული და _____.

3. გაიხსენეთ, დააკავშირეთ და დაასახელეთ.

რომელი მწერი რას აკეთებს?

დაფარფატებს	ჭრიჭინებს	დახტის	ბზუის
			

4. ისაუბრეთ ტექსტის გარშემო.

ა. როდის მიდის ბიჭი სოფელში?
ბ. რატომ უხარია იქ წასვლა?
გ. რას აკეთებს ბიჭი სოფელში?
დ. როგორი გარემო და სახლებია სოფელში?
ე. რა ხდება იქ დარში და რა – ავდარში?

5. გაიხსენეთ და შეავსეთ სურათისა და ტექსტის მიხედვით.

– რა ჰქვია მდინარეს?

– (1) _____

– როგორია და სად არის?

– (2) _____

– რა არის მდინარის პირას?

– (3) _____

– რით არის სავსე მდინარე?

– (4) _____

– როგორი წყალია მდინარეში?

– (5) _____

– რა აკრავს მდინარეს?

– (6) _____

6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ა. როგორი ჰავაა შავ ზღვაზე ზამთარში?

ბ. როგორი მთები აკრავს შენს სოფელს გარშემო?

გ. როგორი ზღვაა დილით ადრე?

დ. როგორი ღრუბლები ჩანს წვიმიან ამინდში ცაზე?

ე. რა ფერისაა ფოთლები შემოდგომით?

ვ. სად მიფრინავენ ჩიტები ზამთარში?

1. **წაიკითხეთ და შეადარეთ.**

ვისია სახლი (ვის ეკუთვნის სახლი)?
ა. ეს სახლი არის ბიძაჩემ**ის**.

რისი სკამია (რა მასალისაა)?
ა. ეს სკამი არის ხ**ის**.

რისი ბურთია (რა დანიშნულება აქვს ამ ბურთს)?
ა. ეს ბურთი არის ფეხბურთ**ის**.

2. **წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.**

ეს თემურის სკოლის ჩანთაა. ჩანთა არის ნაჭრის.

ა. ვის ეკუთვნის ჩანთა?
ბ. რა მასალისგან არის დამზადებული?
გ. რისთვისაა? რა დანიშნულება აქვს?

ეს ჩემი მშობლების ტანსაცმლის კარადაა. კარადა არის ხის.

ა. ვის ეკუთვნის კარადა?
ბ. რა მასალისგან არის დამზადებული?
გ. რისთვისაა? რა დანიშნულება აქვს?

ეს თემურისა და მისი ძმის სკოლის შენობაა. შენობა ქვისაა.

ა. ვისი სკოლაა?
ბ. რისგან არის აშენებული?
გ. რა დანიშნულება აქვს?

3. **მოცემული ინფორმაციით შეადგინეთ მსგავსი წინადადებები.**



ა. **კუთვნილება** (ვისი?):	ბებია	ომარი	ლალეს და
ბ. **მასალა** (რისის?):	ხე	შალი	შუშა
გ. **დანიშნულება** (რისვის?)	ხილი	ზამთარი	ნაძვის ხე

4. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. როგორია სახლი – რამდენსართულიანია? რა აქვს სახლს? რისია? – *ხის / ქვის*

ბ. რა არის სახლის წინ, უკან, გვერდით, ირგვლივ / გარშემო?

გ. რა არის ბაღში? ბოსტანში?

დ. რა დანიშნულება აქვს / რისთვის იყენებენ ბოსელს? საქათმეს? ნალიას?



5. წინა დავალების მიხედვით აღწერეთ თქვენი ნაცნობი სოფლის კარმიდამო.

6. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

<u>ნიმუში:</u>

ა. როგორი სახლი გაქვს სოფელში?

ბ. სად დგას შენი სოფლის სახლი?

გ. რა არის სახლის გვერდით?

დ. სად დგას ნალია?

ე. რისი ხეები დგას ბაღში? და ა.შ.

რა ხდება ტყეში?

1. **წაიკითხეთ და დაასახელეთ –** რომელი ცხოველები და ფრინველები გვხვდება აქედან საქართველოსა და თურქეთის მთებსა და ტყეებში?

მგელი



მელა



დათვი

ზღარბი

ციყვი

კურდღელი

გუგული

ბუ

კაჭკაჭი

კოდალა

მერცხალი

არწივი

შველი

ჯიხვი

2. **გაიხსენეთ, კიდევ რომელი გარეული ფრინველი და ცხოველი იცით.**

3. დააკვირდით და შეადარეთ ერთმანეთს.



ირემი





ოფოფი

4. წაიკითხეთ და გამოიცანით, რომელია.

ა. აქვს მოკლე კუდი და ზურგზე ეკლები. ცხოვრობს ტყეში, ველზე. ჭამს მწერებს. ზამთარში იძინებს.

ბ. რბილი და ფაფუკი კუდი აქვს. ბინადრობს ხეებზე ბუდეშიც და ფუღუროშიც.

გ. ღამის ფრინველია. არსებობს ყურებიანიც. აქვს მოკლე და მოკაუჭებული ნისკარტი, ბასრი ბრჭყალები, დიდი მრგვალი თვალებიდა ძლიერი მოძრავი კისერი.

დ. არის დიდი ზომის გარეული თხა. ბინადრობსკავკასიაში, ციცაბო კლდეებზე და კლდოვან ხეობებში.

ე. ცხოველია. არის ძალიან ლამაზი. აქვს მოკლე კუდი, გრძელი კისერი, პატარა რქები და გრძელი, წვრილი ფეხები. ბინადრობს ტყეში.

ვ. ფრინველია. ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებს. აქვს თეთრწინწკლებიანი გრძელი კუდი და წინ მოყავოსფრო ზოლები.



Track 15 **5. მოისმინეთ და დააკავშირეთ სურათთან.**

1. მოძებნეთ მათი ნაშიერები და წაიკითხეთ, რა ჰქვიათ.



Track 16 **2. მოისმინეთ და შეავსეთ.**

კარგია ტყეში
(ოტია იოსელიანის მიხედვით)

ტყეში ბევრი _____ – დიდები, უფრო დიდები და სულ დიდები. ხეებზე კი _____ _____ დაფრინავენ: ჭრელები, შავები, გრძელკუდიანები და გრძელნისკარტიანები, ჟღურტულები და ლამაზები. აქვე ცხოვრობს მშიშარა _____, ეშმაკი _____, ეკლებიანი _____ და მშრომელი _____.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. როგორი ხეებია ამ ტყეში?
ბ. რა ბინადრობს ტყეში?
გ. მოძებნე და დაასახელე ფერების აღმნიშვნელი სიტყვები.
დ. რომელი სიტყვები მიუთითებს ტყის ბინადრების გარეგნობაზე?
ე. რას გამოხატავენ სიტყვები: მშიშარა, ეშმაკი, ჟღურტულა და მშრომელი?

1. გარეგნობას 2. თვისებას, ხასიათს

როგორი?

მიუთითებს გარეგნობას	**გამოხატავს თვისებას, ხასიათს**
დიდი, შავი, ლამაზი,	კეთილი, მამაცი, ჭკვიანი...
მაღალი, მრგვალი...	მშრომელი, ბეჯითი ....
გრძელკუდიანი ...	მხიარული, ხალისიანი ...

4. წაიკითხეთ და დააკვირდით.

შავი



ოდნავ შავი → **მო**შავ**ო**

ძალიან შავი → **უ**შავ**ესი**

მაღალი



ოდნავ მაღალი → **მო**მაღლ**ო**

ძალიან მაღალი → **უ**მაღლ**ესი**

5. დაასახელეთ, რა ფერია.

წითელი მოწითალო უწითლესი

1 2 3

ლურჯი მოლურჯო ულურჯესი

1 2 3

6. დაასახელეთ – როგორია ის, თქვენი აზრით?

კარგი უკეთესი

ლამაზი ულამაზესი



დაიმახსოვრეთ!

	ოდნავ	ძალიან
წითელი	**მო**_წითალ_**ო**	**უ**_წითლ_**ესი**
ცისფერი	მოცისფრო	უცისფრესი
ყავისფერი	მოყავისფრო	უყავისფრესი ...
მოკლე	_____	უმოკლესი
კარგი	_____	უკეთესი
ცუდი	_____	უარესი

1. დაასახელეთ შესაფერისი ფორმა.

ა. ჩემს სოფელზე კარგი, ანუ ____?____ სოფელი არ არსებობს.

ბ. გუგულს მუცელზე ოდნავ ყავისფერი, ანუ _____?_____ ზოლები აქვს.

გ. მადრიდის რეალი ყველაზე ძლიერი, ანუ _____?_____ გუნდია.

დ. ქალაქის მერცხალს ზემოდან ოდნავ ლურჯი_შავი, ანუ _____?_____ ფერი აქვს.

ე. შველს ძალიან წვრილი, ანუ ____?____ ფეხები აქვს.

ვ. თვითმფრინავი ყველაზე სწრაფი, ანუ ____?____ ტრანსპორტია.

2. წაიკითხეთ, დააკვირდით და დაიმახსოვრეთ.

ყვავილი ლამაზია.
პეპელა ჰგავს ყვავილს.
პეპელა ყვავილივით ლამაზი მწერია.

3. დაასახელეთ გამოტოვებული სიტყვა.



ა. კურდღელი მშიშარა ცხოველია. ის ბავშვი ჰგავს კურდღელს ისიც ___?___ მშიშარაა.

ბ. ფუტკარი მშრომელი მწერია. ჭიანჭველა ჰგავს ფუტკარს. ჭიანჭველაც ___?___ მშრომელია.



გ. ზღარბს აქვს ეკლები. ეს მცენარე ჰგავს ზღარბს. ეს მცენარეც ___?___ ეკლიანია.

როგორ ვერთობით სოფელში?

1. **წაიკითხეთ, ვინ რას აკეთებს.**



ომარი მდინარეში ბანაობს.



თემური ცხენით სეირნობს.

გოგონები ტყეში ყვავილებსა და სოკოებს კრეფენ.

ლელა მინდორში დარბის.



მერაბი თევზაობს.

ბიჭები მინდორში ფეხბურთს თამაშობენ.

1. წაიკითხეთ და შეავსეთ.

1. სოფელში კარგად ვერთობით. მე ბიჭებთან ერთად მინდორში ფეხბურთს _____ ჩემი დები ტყეში _____ და ულამაზეს ყვავილებსა და სოკოებს _____. სოფელში პატარა მდინარეც ჩამოედინება. მდინარე სავსეა პატარა ლიფსიტებით. სიცხეში მდინარეზეც _____ და ანკესებით _____. მდინარეში ბანაობაც ძალიან მიყვარს.



2. ჩემი სოფელი მთაშია. სოფელს დიდი ტყ_____ მთები აკრავს. ჩემს სოფელ_____ თბილი და გრილი ზაფხული იცის. მდინარ_____ წყალი ზაფხულშიც ძალიან ცივია. სოფლ_____ ახლოს პატარა ტბაა. ტბა_____ წყალი უფრო თბილია. მე და ჩემი ბიძაშვილები ტბა_____ დავდივართ. ძალიან მიყვარს ტბ_____ თევზი. ტბა_____ დიდი მინდორია. მინდორ_____ დავრბივართ, ხშირად ცხენებ____ ვსეირნობთ.

2. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. რას აკეთებს სოფელში ომარი?
ბ. ვისთან ერთად თამაშობს ფეხბურთს?
გ. როგორ ერთობიან ომარის დები?
დ. რას აკეთებს მდინარეზე ომარი?
ე. როგორი მდინარეა ომარის სოფელში?

ა. რით ერთობა სოფელში თემური?
ბ. სად მდებარეობს თემურის სოფელი?
გ. როგორი გარემოა იქ?
დ. როგორი ამინდი იცის ზაფხულში?
ე. როგორი მდინარე და ტბაა იქ?

3. შეარჩიეთ სწორი ფორმა.

ა. თემურს არ უყვარს ცივ მდინარეში ____?____ (**1. ბანაობს 2. ბანაობა**)
ბ. ომარი ანკესით ____?____ (**1. თევზაობს 2. თევზაობა**)
გ. თემური მთელი დღე მინდორში ____?____ (**1. სირბილი 2. დარბის**)
დ. მას უყვარს მინდორში ____?____ (**1. სირბილი 2. დარბის**)
ე. ფატმა სკოლაში ფეხით ____?____ (**1. სიარული 2. დადის**)
ვ. ლალეს არ უყვარს ფეხით ____?____ (**1. დადის 2. სიარული**)
ზ. მაია ტყეში ყვავილებს ____?____ (**1. კრეფა 2. კრეფს**)
თ. მაიას ძმა ცხენით ____?____ (**1. სეირნობა 2. სეირნობს**)

4. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

– შენ გიყვარს:
- ფეხით სიარული?
- ცხენით სეირნობა?
- ანკესით თევზაობა?
- მდინარეში ბანაობა?
- მინდორში სირბილი?
- ყვავილების კრეფა?
- ბურთის თამაში?

რით?	**რას აკეთებს?**
ხელ**ით**	უკრავს
ფეხ**ით**	სეირნობს
ანკეს**ით**	თევზაობს
მანქან**ით**	დადის
ფანქრ**ით**	ხატავს
კალმ**ით**	წერს
კოვზ**ით**	ჭამს
ბურთ**ით**	თამაშობს

5. წაიკითხეთ დიალოგი.

– სად ხარ, ფერიდე?
– სოფელში. ახლა მდინარეზე მივდივართ.
– ხშირად დადიხართ მდინარეზე?
– არა, იშვიათად. უფრო ხშირად ტყეში დავდივართ. შენ სად ხარ ფატმა?
– მეც სოფელში ვარ. ახლა მე და ჩემი ბიძაშვილები სტუმრად მივდივართ მამიდასთან.
– შენს სოფელში არის მდინარე?
– არა, მდინარე არ არის, პატარა ტბაა.
– დადიხართ ტბაზე?
– კი ხშირად დავდივართ.

6. რას გამოხატავს ზმნა „დავდივარ“?

ა. ერთხელ წასვლას
ბ. რამდენჯერმე წასვლას
გ. ხშირად სიარულს

მე	**მი**ვდი**ვარ**	**და**ვდი**ვარ**	**და**ვრბი**ვარ**
შენ	მიდი**ხარ**	დადი**ხარ**	დარბი**ხარ**
ის	მიდის	დადის	დარბის
ჩვენ	**მი**ვდი**ვართ**	**და**ვდი**ვართ**	**და**ვრბი**ვართ**
თქვენ	მიდი**ხართ**	დადი**ხართ**	დარბი**ხართ**
ისინი	მიდიან	დადიან	დარბიან

1. გამოიყენეთ ფრჩხილში მოცემული ფორმები და უპასუხეთ შეკითხვებს.

– ორჰან, რას აკეთებთ შენ და ერდალი სოფელში?
– _____?_____ (**ფეხბურთის თამაში, ცხენით სეირნობა, მდინარეში თევზაობა და ბანაობა**)

– ლალე, დადიხართ თქვენ მდინარეზე?
– არა, ჩვენ _____?_____ (**მინდორში სიარული**)
– რას აკეთებთ იქ?
– _____?_____ (**ყვავილების კრეფა, სირბილი, სეირნობა**)

Track 17 **2. მოისმინეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.**

სად მდებარეობს ლალეს სოფელი? როგორი გარემოა იქ? რა აქვს და რა ჰყავს ლალეს სოფელში? რას აკეთებს ლალე იქ?

3. მოცემული მასალის გამოყენებით შეადგინეთ დიალოგები და გაითამაშეთ.

– სად არის / სად მდებარეობს შენი სოფელი?
– როგორი გარემოა იქ?
– სად არის ტყე, მდინარე, ტბა, ჩანჩქერი, მინდორი?
– რას აკეთებ იქ?
– სად დადიხარ ხშირად?

სოფლის გარემო:
ტყიანი მთები, მაღალი ჩანჩქერი, პატარა ტბა, სწრაფი მდინარე, მწვანე ტყე, დიდი მინდორი

სოფლის გარემო:
ვიწრო ხეობა, მაღალი მთები, ტყის პირი, მაღალი ჩანჩქერი,
...-ის ახლოს / გვერდით

საქმიანობა:
თევზაობა, ბანაობა, სოკოს / ყვავილების კრეფა, მინდორში სირბილი, თამაში, ტყეში სეირნობა, ცხენით სეირნობა, მდინარეზე / ტბაზე სიარული

4. წაიკითხეთ და დაასახელეთ.

ვინ რის გაკეთებას აპირებს?

ნიმუში: ორჰანი აპირებს თევზაობას.

– ორჰან, შენ არ იბანავებ?
– არა, მე ვითევზავებ. ჩემი ძმა იბანავებს. შენ არ ითევზავებ, თემურ?
– მე – არა, ჩემი ბიძაშვილი ითევზავებს.

– ლალე, შენ არ ითამაშებ?
– არა, მე ჯერ ყვავილებს დავკრეფ, თეონა ითამაშებს.
– ფატმაც დაკრეფს ყვავილებს?
– არა, ფატმა და ფერიდე მინდორში წავლენ ირბენენ.

– ფერიდე, შენ არ იციგავებ?
– არა. მე თხილამურებზე ვისრიალებ. შენ არ გინდა თხილამურებზე სრიალი?
– არა, ჯერ ვიგუნდავებ და ვიციგავებ და მერე ვისრიალებ თხილამურებზე.

– ომარ, ახლა ითამაშებ ფეხბურთს?
– არა, ჯერ ცხენით ვისეირნებ და მერე ვითამაშებ. შენ არ გინდა ცხენით სეირნობა?
– არა, ჩვენ ფეხბურთს ვითამაშებთ.

დააკვირდით და დაიმახსოვრეთ!

ახლა:	მერე:
მივდივარ	წავალ
მოვდივარ	მოვალ
დავდივარ	ვივლი
დავრბივარ	ვირბენ

ახლა: ვკრეფ
მერე: **და**ვკრეფ

ახლა: ვსრიალებ
მერე: ვ**ი**სრიალებ

ახლა:	მერე:
ვთამაშ**ობ**	ვ**ი**თამაშ**ებ**
ვსეირნ**ობ**	ვ**ი**სეირნ**ებ**
ვბანა**ობ**	ვ**ი**ბანა**ვებ**
ვთევზა**ობ**	ვ**ი**თევზა**ვებ**
ვციგა**ობ**	ვ**ი**ციგა**ვებ**
ვგუნდა**ობ**	ვ**ი**გუნდა**ვებ**

1. შეარჩიეთ შესაბამისი ფორმა.

<u>წავა / მივდივარ:</u>

- ის ერთი კვირის შემდეგ სოფელში _____?_____.
- მე უკვე ვიყავი სოფელში, ახლა ზღვაზე _____?_____.

<u>თამაშობს / ითამაშებ:</u>

- თემური ეზოშია. ის ფეხბურთს _____?_____.
- შენ არ _____?_____ ჩვენთან ერთად?

<u>თევზაობს / ითევზავებს:</u>

- ერდალი ახლა სათევზაოდ მიდის. _____?_____ და მალე მოვა.
- ორჰანი უკვე ორი საათია მდინარეზეა და _____?_____.

<u>ისეირნებს / სეირნობს:</u>

- ფატმა სახლში არ არის. ის მეგობრებთან ერთად _____?_____
- ის საღამოს _____?_____ ცხენით, ახლა მინდორში დარბის.

2. დაასახელეთ სწორი პასუხები.

დღეს მიდიხარ სოფელში?
ა. კი, ხვალ მივდივარ.
ბ. არა, ხვალ მივდივარ.
გ. ხვალ ბებიასთან მივდივარ.

როდის წახვალთ სოფელში?
ა. ხვალ დილით.
ბ. გუშინ დილით.
გ. ავტობუსით წავალთ.

რატომ მიდიხარ სოფელში?
ა. ჩემი სოფელი მთაშია.
ბ. სოფელში ბიძაჩემი ცხოვრობს.
გ. ძალიან მომწონს იქაურობა.

რას გააკეთებ სოფელში?
ა. მივდივარ მდინარეზე და ვთევზაობ.
ბ. სოფელში ვთევზაობ.
გ. ბევრს ვითევზავებ.

Track 18 3. მოისმინეთ დიალოგი და შეავსეთ წინადადებები.

ა. ომარი ჯერ _____ წავა და შემდეგ წავა _____.

ბ. მერაბი _____ ტყესა და მინდორში წავა, _____ კი – მდინარეზე.

გ. ომარი ჯერ _____ ისეირნებს ზღვაში, _____ კი ქალაქში ისეირნებს ფეხით.

4. წაიკითხეთ და შეავსეთ.

ომარი თავის დებთან ერთად ივლისში ზღვაზე აპირებს წასვლას. ძალიან უყვარს თავის ბიძაშვილებთან ერთად ზღვაში ბანაობა და გემით სეირნობა.

ლალე ხვალ მიდის სოფელში ბებიასთან. მას ძალიან მოსწონს იქაური ბუნება – ბუმბერაზი მთები და ხშირი ტყე. უყვარს ტყეში სეირნობა და ლამაზი ყვავილების კრეფაც.

მთაში აქვს სოფელი ფიქრიასაც. ფიქრიას ბიძას იქ დიდი და ლამაზი ეზო აქვს და ბევრი ფრინველი და ცხოველი ჰყავს. ფიქრიას ძალიან უყვარს ფრინველები და ცხოველები. კარგად გაერთობა მათთან და ბევრს იმხიარულებს.

სად მიდის?			
იქ ვინ ცხოვრობს?			
როდის მიდის?			
რატომ უნდა იქ წასვლა?			
იქ რას გააკეთებს?			

5. მოცემული ინფორმაციით შეადგინეთ დიალოგები და გაითამაშეთ.

ა. სად წახვალთ და როდის?
ბ. იქ ვინ ცხოვრობს?
გ. ვისთან ერთად მიდიხართ?
დ. იქ რას გააკეთებთ?

ა. მთა, ზამთარი
ბ. მეგობარი
გ. ძმა
დ. თხილამურებზე სრიალი, ციგაობა, გუნდაობა

მიუთითეთ:

<u>რატომ გინდათ იქ წასვლა?</u>

ა. სოფელი, აგვისტო
ბ. ბებია და ბაბუა
გ. მეგობრები
დ. თევზაობა, ცხენით სეირნობა, სოკოს კრეფა, მინდორში სირბილი

ა. ზღვა, 15 ივლისი
ბ. მამიდაშვილები
გ. მშობლები
დ. გემით სეირნობა, ზღვაში ბანაობა, თამაში

6. წინა დავალების მიხედვით ისაუბრეთ თქვენი და თქვენი მეწყვილის შესახებ.

სად წახვალთ, ვისთან ერთად, რატომ გინდათ იქ წასვლა, იქ რას გააკეთებთ და ა.შ.

Track 19 **7. მოისმინეთ სიმღერა და შემდეგ თქვენ იმღერეთ.**

ითამაშეთ და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა.

9

ისაუბრე. რას აპირებ ზაფხულში?

ა. სად წახვალ და როდის?

ბ. ვისთან ერთად?

გ. იქ რას გააკეთებ?

4

დაასახელე და აღწერე ისინი.



დ. როგორია?

ე. რა აქვს?

ვ. რას აკეთებს?

5

ისაუბრე.

ა. რა არის?

ბ. როგორია?

გ. რა აქვს და რა

დ. ფერის, როგორი?

ე. სად ბინადრობს?

3

გაითამაშე დიალოგი მეწყვილესთან ერთად თქვენი სოფლის შესახებ.

ა. გაქვთ თუ არა?

ბ. რა ჰქვია და სად მდებარეობს?

გ. როგორია?

დ. იქ ვინ ცხოვრობს?

ე. რა გაქვთ და რა გყავთ სოფელში?

ვ. ხშირად მიდიხართ თუ არა?

ზ. რას აკეთებთ იქ?

8

ისაუბრე.

რას აკეთებთ და როგორ ერთობით შენ და შენი და - ძმა სოფელში?

6

ჩამოთვალე.

ა. გარეული ფრინველები და მათი ნაშიერები.

ბ. შინაური ფრინველები და მათი ნაშიერები.

2

ჩამოთვალე.

ა. გარეული ცხოველები და მათი ნაშიერები.

ბ. შინაური ცხოველები და მათი ნაშიერები.

7

დაასახელეთ, აღწერეთ, როგორია და რა აქვს და შეადარეთ ერთმანეთს.



1

ისაუბრე შენი სოფლის შესახებ.

ა. რა ჰქვია და სად მდებარეობს?

ბ. როგორი გარემოა იქ?

გ. როგორი კლიმატია?

დ. იქ ვინ ცხოვრობს და სად?

ე. როგორი სახლი და კარმიდამო აქვს?

ვ. რა ფრინველი და ცხოველი ჰყავს?

წაიკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.

რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	

5

შაბათ - კვირას



რას აკეთებ შაბათობით?

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ წინა გვერდზე მოცემულ სურათებთან.

ა. მისი საყვარელი გადაცემაა „ცხოველთა სამყაროში“.
ბ. ის შაბათ-კვირას არ მუშაობს, სახლშია, ისვენებს და წიგნს კითხულობს.
გ. მისი ნათესავები ზოოპარკის გვერდით ცხოვრობენ. ისინი ხშირად დადიან მათთან სტუმრად.
დ. ისინი ყოველ შაბათს ბუნებაში მიდიან და ხატავენ.
ე. შაბათობით ის მამასთან ერთად თევზაობს ხოლმე.

2. დაასახელეთ სწორი ვარიანტი სურათის მიხედვით.

ბაიას უნდა:
- სტუმრად წასვლა
- ზოოპარკში წასვლა
- ბუნებაში ხატვა

3. წაიკითხეთ და შეადარეთ.

შაბათს მე და მამა სათევზაოდ **მივდივართ**.
ყოველ შაბათს მე და მამა სათევზაოდ **დავდივართ**.
შაბათობით ჩვენ სათევზაოდ **დავდივართ**.

4. წაიკითხეთ დიალოგი და თქვით, რას აკეთებს ბაიას მამა შაბათობით?

ა. ისვენებს ბ. სტუმრად დადის გ. მუშაობს

– მამა, დღეს ხომ შაბათია, სად მიდიხარ?
– სამსახურში.
– შაბათობით არ ისვენებ?
– არა, ბაია, მარტო კვირას ვისვენებ.

დაიმახსოვრეთ!

ყოველ შაბათს	შაბათ**ობით**
ყოველ კვირას	კვირა**ობით**
ყოველ ორშაბათს	ორშაბათ**ობით**
ყოველ ზაფხულს	ზაფხულ**ობით**
ყოველ თვე	თვე**ობით** ...

1. წაიკითხეთ დიალოგები და დაასახელეთ, ვინ არის.

ა. **ის** ყოველ შაბათ_კვირას ერთნაირად ატარებს დროს. ____?_____

ბ. **მან** ეს შაბათ_კვირა კარგად გაატარა. ____?_____

გ. **ის** კვირას მშობლებთან ერთად სტუმრად აპირებს წასვლას. _____?_____

დ. **მან** ჯერ არ იცის, რას გააკეთებს. ____?____

1

– თემურ, რას გააკეთებ შაბათ-კვირას?
– ჯერ არ ვიცი, ალბათ, სახლში ვიქნები. შენ რა გეგმები გაქვს, ორჰან?
– შაბათს ბორნით გავისეირნებ, კვირას კი მშობლებთან ერთად სტუმრად წავალ.

2

– დალი, კარგი დრო გაატარე შაბათ-კვირას?
– კი. შაბათს ჯერ გემით ვისეირნეთ. შემდეგ კაფეში დავსხედით. ნაყინი ვჭამეთ და წვენი დავლიეთ.
– კვირას სად იყავი?
– არსად. კვირას ჩემი მამიდაშვილები მოვიდნენ ჩვენთან.

3

– ლალე, რას აკეთებ ხოლმე შაბათ-კვირას?
– ყოველ შაბათ-კვირას კარგად ვერთობი. შაბათობით ხან ჩვენ მივდივართ სტუმრად, ხან ჩვენი ნათესავები მოდიან ხოლმე ჩვენთან.
– კვირას სახლში ხართ ხოლმე?
– არა, კვირაობითაც ვერთობით. ხან ბებიასთან და ბაბუასთან ერთად დავდივართ კაფეში, ხან მშობლებთან ერთად ვსეირნობთ.

2. დაუბრუნდით დიალოგებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

პირველი დიალოგი:

ა. ვინ გაისეირნებს ბორნით?
ბ. სად წავა კვირას ორჰანი?
გ. ვინ დარჩება სახლში?
დ. ვისთან ერთად წავა ორჰანი სტუმრად?
ე. ვის არ აქვს გეგმები?

მეორე დიალოგი:

ა. როდის ისეირნა დალიმ გემით?
ბ. რა გააკეთა დალიმ სეირნობის შემდეგ?
გ. სად ჭამა მან ნაყინი?
დ. სად იყო დალი კვირას?
ე. ვინ იყვნენ მასთან სტუმრად?

მესამე დიალოგი:

ა. როგორ ატარებს ხოლმე შაბათ-კვირას ლალე?
ბ. რას აკეთებს ის შაბათობით?
გ. სად მიდის ის ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ყოველ კვირა?
დ. როდის სეირნობს ხოლმე ლალე მშობლებთან ერთად?

3. წაიკითხეთ, დააკვირდით და დაიმახსოვრეთ.

დღეს 10 მაისია, შაბათი.

გასულ შაბათს იყო 3 მაისი.

მომავალ შაბათს იქნება 17 მაისი.



4. დაასრულეთ წინა გვერდზე მოცემული დიალოგების მიხედვით. დაასახელეთ, ვინ არის.

ა. ის მომავალ შაბათს გაისეირნებს _____.

ბ. მან გასულ შაბათს ისეირნა _____.

გ. მასთან გასულ კვირას სტუმრები _____.

დ. ის მომავალ შაბათს სტუმრად _____.

1. **შეადარეთ ერთმანეთს.**

რას აკეთებს ახლა?	**რას გააკეთებს ხვალ?**
1. **ორჰანი** (**ის**) სეირნობს გემით.	1. **ორჰანი** (**ის**) გაისეირნებს გემით.
2. **ლალე** (**ის**) მიდის სტუმრად.	2. **ლალე** (**ის**) წავა სტუმრად.
3. **დალი** (**ის**) ჭამს ნაყინს.	3. **დალი** (**ის**) შეჭამს ნაყინს.
4. **თემური** (**ის**) თამაშობს ბურთს.	4. **თემური** (**ის**) ითამაშებს ბურთს.
5. **ფატმა** (**ის**) კითხულობს წიგნს.	5. **ფატმა** (**ის**) წაიკითხავს წიგნს.

2. **დააკვირდით და დაიმახსოვრეთ.**

ის ახლა
სეირნობს
მიდის
ჭამს
თამაშობს
კითხულობს...

ის მომავალში
გაისეირნებს
წავა
შეჭამს
ითამაშებს
წაიკითხავს...

3. **შეადარეთ ერთმანეთს.**

რას აკეთებს ახლა?	**რა გააკეთა გუშინ?**
1. **ორჰანი** (**ის**) სეირნობს გემით.	1. **ორჰანმა** (**მან**) გაისეირნა გემით.
2. **ლალე** (**ის**) მიდის სტუმრად.	2. **ლალე** (**ის**) წავიდა სტუმრად.
3. **დალი** (**ის**) ჭამს ნაყინს.	3. **დალიმ** (**მან**) შეჭამა ნაყინი.
4. **თემური** (**ის**) თამაშობს ბურთს.	4. **თემურმა** (**მან**) ითამაშა ბურთი.
5. **ფატმა** (**ის**) კითხულობს წიგნს.	5. **ფატმამ** (**მან**) წაიკითხა წიგნი.

4. **დააკვირდით და დაიმახსოვრეთ.**

ის ახლა
სეირნობს
მიდის
ჭამს
თამაშობს
კითხულობს...

ის წარსულში
ისეირნა
წავიდა
შეჭამა
ითამაშა
წაიკითხა...

5. გადახაზეთ არასწორი ვარიანტები.

<u>რას გააკეთებს ის:</u>

1. ხვალ?
2. ორი დღის შემდეგ?
3. გუშინ?
4. დღეს?
5. მომავალში?
6. მომავალ შაბათს?
7. გასულ კვირას?
8. ერთი დღის წინ?
9. სამი საათის შემდეგ?
10. ნახევარი საათის წინ?

<u>რა გააკეთა მან:</u>

1. ხვალ?
2. ორი დღის შემდეგ?
3. გუშინ?
4. დღეს?
5. მომავალში?
6. მომავალ შაბათს?
7. გასულ კვირას?
8. ერთი დღის წინ?
9. სამი საათის შემდეგ?
10. ნახევარი საათის წინ?

6. შეავსეთ წინადადებები.

ა. ფატმა ახლა _____ ნამცხვარს.

ბ. ის ხვალ _____ ფეხბურთს.

გ. ორჰანმა ორი დღის წინ _____ ცხენით.

დ. მან გუშინ _____ ის წიგნი.

ე. ის ერთი საათის წინ _____ სახლში.

ვ. ლალე მომავალ შაბათს _____ ზღვაზე.

7. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

– რას აკეთებ ხოლმე შაბათ-კვირას?
– როგორ ატარებ დროს?
– როგორ ერთობი ხოლმე დასვენების დღეებში?
– რას აკეთებ, როცა ცუდი ამინდია? როცა წვიმს? ქარია? ცივა? ცხელა?
– ვისთან დადიხარ სტუმრად?
– ვინ მოდის შენთან სტუმრად?

– როგორ გაატარე შაბათ-კვირა?
– რა გააკეთე შაბათს? კვირას?
– სად იყავი ამ შაბათს? კვირას?
– ვისთან იყავი სტუმრად?
– ვინ იყო შენთან სტუმრად?

ზოოპარკში. გარეული ცხოველები და მათი ნაშიერი

1. **მოძებნეთ ისინი სურათზე და დაასახელეთ, სად არის.**

გამოიყენეთ: ...–ის წინ, უკან, გვერდით



ლომი



სპილო

აქლემი



ზებრა



ნიანგი

პინგვინი

სელაპი

2. წაიკითხეთ და გამოიცანით, რომელია.




ა. აქვს დიდი სხეული და ზურგზე ერთი ან ორი კუზი. უდაბნოს ცხოველია. მის შვილს ჰქვია კოზაკი. სვამს ცოტა წყალს.

ბ. არის ჭკვიანი და მხიარული წყლის ცხოველი. უყვარს წყალში ხტუნვა და თამაში. ზურგზე აქვს ფარფლები.

გ. ჰგავს ცხენს, მაგრამ ცხენზე პატარაა. აქვს შავი ზოლები, კისერზე მოკლე ფაფარი და გრძელი კუდი.



დელფინი **ფარშავანგი**

ა. არის ხმელეთის ყველაზე დიდი ცხოველი. აქვს მოკლე კისერი, უზარმაზარი ყურები, გრძელი ხორთუმი და ორი დიდი ეშვი. მის შვილს ჰქვია სპლიყვი.

ბ. მის შვილს ჰქვია ბოკვერი. აქვს დიდი ფაფარი და გრძელი კუდი. ცხოვრობს ბუნაგში. არის ძლიერი და საშიში ცხოველი.

გ. ზღვის დიდი ფრინველია. უყვარს ყინულზე სრიალი. წყალში სწრაფად დაცურავს. დებს კვერცხს. მუცელი თეთრია აქვს, თავი და ზურგი კი – შავი.





1. **სურათების მიხედვით აღწერეთ დანარჩენებიც.**

2. **შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.**

<u>ნიმუში</u>: ჟირაფს აქვს გრძელი კისერი და პატარა ყურები. → ჟირაფი არის გრძელკისერიანი და პატარაყურებიანი.

ა. ზებრას აქვს შავი ზოლები.
ბ. აქლემს აქვს ერთი ან ორი კუზი.
გ. დელფინს აქვს ფარფლები.
დ. ზებრას აქვს მოკლე ფაფარი და გრძელი კუდი.
ე. სპილოს აქვს დიდი ყურები და გრძელი ხორთუმი.
ვ. სელაპს აქვს მოკლე კისერი, პატარა თავი და ულვაში.

3. **წაიკითხეთ, როგორი ცხოველია დელფინი.**

როგორია?

ჭკვიანი, ლამაზი
მხიარული



როგორია?

ფარფლებიანი
კუდიანი

4. **დაუბრუნდით წინა გვერდზე მოცემულ სურათებს. თქვით, სად ბინადრობენ და როგორები არიან ისინი, თქვენი აზრით.**

<u>**როგორია?**</u>

მხიარული ჭკვიანი საშიში, ძლიერი, სუსტი, ლამაზი, უშნო, სასაცილო

გამოიყენეთ:

<u>**სად ბინადრობს?**</u>

წყალში, ხმელეთზე, ტყეში, უდაბნოში, ტბაში, მდინარეში, ზღვაში

5. **გამოიყენეთ წინა დავალება და შეავსეთ.**

პატარა სელაპები ძალიან _____ არიან. _____ და _____ _____ ცხოველია დელფინიც. დელფინს უყვარს თამაში და წყალში ხტუნვა.

Track 20 6. **მოისმინეთ და შეამოეთ.**

Track 21 7. **მოისმინეთ და მონიშნეთ სათანადო უჯრა.**

	ვეშაპი	დელფინი	სელაპი
აქვს დიდი თავი.			
აქვს პატარა თავი და მოკლე კისერი.			
ზოგს ზურგზე აქვს ფარფლები.			
აქვს ყურები.			
აქვს ულვაში.			
ზოგს ზურგზე აქვს ზოლები და კუზი.			

რა ხდება თბილისის ზოოპარკში?

8. გაეცანით ინფორმაციებს და შეასრულეთ დავალებები.



1. ერთი თვის წინ ცხრამეტმა პატარა აფრიკულმა პინგვინმა თბილისის ზოოპარკის პინგვინარიუმში დაიდო ბინა. პინგვინარიუმს დიდი აუზი და ქვიშიანი სანაპირო აქვს. მხიარული პინგვინები წყალში დიდ დროს ატარებენ.

2. ამჟამად თბილისის ზოოპარკში ორი მოზრდილი გიბონი – მაუგლი და ჩიტა ბინადრობს. მაუგლი ცნობისმოყვარე, მხიარული და ძალიან მოძრავია. ჩიტა უფრო მორცხვი და მორიდებულია. დილაობით მაუგლი და ჩიტა მღერიან ხოლმე.

3. ზოოპარკში ბინადრობენ ინდური სპილო – მალკა და მისი სპლიყვი – ბუნკაც. მალკა მშვიდია, ბუნკა კი – დიდი ცნობისმოყვარე და მოძრავი. ყველაფერი აინტერესებს. სულ აქეთ-იქით დადის და ყველაფერს ათვალიერებს. ზაფხულობით სპილოებს ძალიან უყვართ აუზში ჩასვლა და ბანაობა.

4. ეს ჰიპოპოტამი 4 ივლისს დაიბადა კალინინგრადში. მას ბეგი ჰქვია. ის პატარა მოიყვანეს ჩვენთან. ბეჰემოტი ბეგი ახლა უკვე დიდია. ბეგის ძალიან უყვარს ვაშლი და წყალში ნებივრობა.

5. კლეოპატრაც პატარა ჩამოიყვანეს აფრიკიდან. ძალიან მხიარული და ცნობისმოყვარე ბოკვერი იყო. კლეოპატრამ თოვლი პირველად საქართველოში ნახა. ახლა ის უკვე დიდია და მშვიდი. ულამაზეს თეთრ ლომს დღეს სამი ბოკვერი ჰყავს.

ა. დაასრულეთ წინადადებები.

საიდან მოხვდნენ ისინი საქართველოში?

1. პინგვინები ჩამოიყვანეს _____.
2. სპილოები ჩამოიყვანეს _____.
3. ჰიპოპოტამი არის _____.
4. კლეოპატრა არის _____.

არის / ჩამოიყვანეს
აფრიკი**დან**, ინდოეთი**დან**
...

ბ. უპასუხეთ შეკითხვებს.

<u>რა უყვართ:</u>

- პინგვინებს?
- გიბონებს?
- სპილოებს?
- ბეჰემოტს?

<u>რას აკეთებენ:</u>

- გიბონები ყოველ დილით?
- სპილოები ზაფხულობით?
- პინგვინები წყალში?
- ბეჰემოტი წყალში?

გ. შეავსეთ ცხრილი.

როგორები არიან ისინი?

	გარეგნობა	**თვისება**
პინგვინები		
გიბონები: • **მაუგლი** • **ჩიტა**		
სპილოები: • **მალკა** • **ბუნკა**		
ბეჰემოტი		
ლომი		

დ. დააკავშირეთ საპირისპირო სიტყვები.

1.	მხიარული	ა.	მოწყენილი
2.	მშვიდი	ბ.	მშვიდი

ე. მონიშნეთ სწორი ვარიანტები.

საიდან ჩანს, რომ სპლიყვი ცნობისმოყვარეა?

1. ბევრს მოძრაობს.
2. აქეთ_იქით დადის.
3. ყველაფერი აინტერესებს.
4. ყველაფერს ათვალიერებს.

1. დააკავშირეთ შეკითხვები პასუხებთან.

1.	სად ბინადრობს?	ა.	მხიარული
2.	რას აკეთებს დილაობით?	ბ.	ჩვენთან
3.	როგორია ბოკვერი?	გ.	პატარა ბოკვერი
4.	რა უყვარს მას?	დ.	ზოოპარკში
5.	რომელია მორცხვი?	ე.	აფრიკიდან
6.	საიდან ჩამოიყვანეს?	ვ.	თამაშობს
7.	ვისთან მოიყვანეს?	ზ.	თამაში

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____

2. შეავსეთ დიალოგი და წაიკითხეთ მეწყვილეებთან ერთად.

– რა ცხოველია გიბონი?
– (1) _____.
– (2) _____ ბინადრობს ის თბილისის ზოოპარკში?
– ორი.
– (3) _____ მათ?
– მაუგლი და ჩიტა.
– (4) _____ დილაობით ისინი?
– მღერიან.
– (5) _____ მხიარული და ცნობისმოყვარე?
– მაუგლი.
– (6) _____ ჩიტა?
– მორცხვი და მორიდებული.

3. შეადგინეთ მსგავსი დიალოგები და გაითამაშეთ.

გასეირნება ბოსფორზე

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ფოტოსთან. დაასახელეთ:

ა. რომელ კუნძულზეა კონკრეტულ ტექსტში საუბარი?

ბ. რომელი კუნძული არ არის ფოტოზე გამოსახული?

პრინცის კუნძულებ შორის ის უდიდესია. ირგვლივ ფიჭვის ტყეებია გაშენებული. მისი მთიანი ნაწილი დაუსახლებელია. დასახლებული ნაწილი ზაფხულობით ხალხმრავალი და ხმაურიანია. ყველაზე პატარა კუნძული კი სედეფია, სადაც მხოლოდ 108 ორსართულიანი კერძო სახლი დგას.

ის სიდიდით მეორე კუნძულია. ბუიუკადასგან განსხვავებით, ეს ნაკლებად ხალხმრავალი და ხმაურიანია. ირგვლივ სასიამოვნო გარემოა თავისი ვიწრო სანაპიროებითა და ქუჩებით, ფიჭვის ტყეებითა და უძველესი ვილებით.

ეს კუნძული სიდიდით მესამეა. აქ იყო სტამბოლის პირველი კერძო ზოოპარკი. მის აღმოსავლეთით პატარა, კოვზის ფორმის კუნძული მდებარეობს. მასაც სწორედ ასე ჰქვია – „კუნძული-კოვზი“.

ის სტამბოლის უახლოესი კუნძულია. სხვებისგან განსხვავებით, ის ერთ-ერთი ყველაზე ტყიანი ადგილია. კლიმატიც აქ უფრო მკაცრია, ვიდრე სხვა კუნძულებზე. მიწა მოწითალო ფერისაა. სწორედ ამის გამო ეძახიან მას „კუნძულს ინით“.

2. დაუბრუნდით ტექსტებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. რომელია ყველაზე დიდი კუნძული?
ბ. რომელია ყველაზე ხალხმრავალი და ხმაურიანი?
გ. რით არის გამორჩეული კუნძული ჰეიბელიადა?
დ. რომელ კუნძულზე იყო ზოოპარკი?
ე. რას ჰგავს გარეგნულად კუნძული კაშიკი?
ვ. რომელ კუნძულზეა ყველაზე მეტი ტყე?
ზ. რომელ კუნძულზეა ყველაზე ცივი ამინდი?

3. შეადგინეთ წინადადებები ფოტოს მიხედვით.

სად მდებარეობს ...?

გამოიყენეთ: ..._ის გვერდით, წინ, უკან, მარჯვნივ / მარცხნივ ....

4. მოიძიეთ ტექსტებიდან ინფორმაცია და შეავსეთ.

	ბუიუკადა	ჰეიბელიადა	კინალიადა
სიდიდე:			
მდებარეობა:			
ფორმა:			
გარემო:			
კლიმატი:			

5. შეადარეთ კუნძულები ერთმანეთს და შეადგინეთ წინადადებები.

გამოიყენეთ: **უფრო / ვიდრე**

<u>ნიმუში:</u> ბუიუკადაში **უფრო** მეტი ხალხია, **ვიდრე** ჰეიბელიადაში.

6. დაასარულეთ წინადადებები.

ა. კინალიადა უფრო ახლოს არის სტამბოლთან, _____?_____

ბ. კინალიადაში უფრო ცივი ამინდები იცის, _____?_____

გ. ბუიუკადა უფრო ხმაურიანია, _____?_____

1. დაასახელეთ სწორი ვარიანტები.

რა ჰქვიათ სტამბოლის ახლოს მდებარე კუნძულებს?

- პრინცის კუნძულები
- პრინცესას კუნძულები
- ბოსფორის კუნძულები.

სად მდებარეობს პრინცის კუნძულები?

- შავ ზღვაში
- მარმარილოს ზღვაში
- ბოსფორის სრუტეში

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

კუნძულები სტამბოლის ახლოს, მარმარილოს ზღვაში მდებარეობს. ისინი ზაფხულში ხალხმრავალი და ხმაურიანია. უფრო წყნარი და სასიამოვნოა გაზაფხულსა და შემოდგომაზე, თუმცა ძლიერი წვიმებისა და მაღალი ტალღების დროს იქ მოხვედრა თითქმის შეუძლებელი ხდება. ზამთარში ძლიერი და ცივი ქარი ქრის. ამიტომ წელიწადის ამ დროს კუნძულები თითქმის დაცარიელებულია.

კუნძულებზე მანქანები არ დადიან. გადაადგილება მხოლოდ ფეხით, ეტლებითა და ველოსიპედებით არის შესაძლებელი. რესტორნები, კაფეები და მაღაზიები მხოლოდ დასახლებების ცენტრებშია თავმოყრილი.

3. უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. **წელიწადის რომელ დროს არის კუნძულები:**
- ხალხმრავალი და ხმაურიანი?
- წყნარი და სასიამოვნო?
- თითქმის დაცარიელებული?

ბ. რატომ იცლება კუნძულები ზამთარში?

გ. როდის არის კუნძულებზე მოხვედრა რთული?

დ. სად არის მაღაზიები განლაგებული?

4. დასვით შეკითხვები ტექსტის მიხედვით და შეავსეთ დიალოგი.

– **სად** _____?

– სტამბოლის ახლოს, მარმარილოს ზღვაში.

– **როგორია** _____?

– ხალხმრავალი და ხმაურიანი.

– **როდის** _____?

– გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

– **რა ხდება** _____?

– ქრის ძლიერი და ცივი ქარი.

5. წაიკითხეთ წინადადებები და დააკავშირეთ ფოტოებთან.

ა. ფერიდეს ძალიან უყვარს პარკში ველოსიპედით სეირნობა.
ბ. მათი სახლის ტერასიდან ზღვის ულამაზესი ხედი მოჩანს.
გ. ეს ხის ვილა ფერიდეს კუნძულელი მეგობრის ბიძისაა.
დ. ეს ვიწრო ქუჩა ზღვის სანაპიროსთან ჩადის.
ე. ამ ქუჩაზე მხოლოდ ფეხით დადიან.
ვ. ეს ქუჩა ზაფხულში ხალხმრავალი და ხმაურიანია.
ზ. ფერიდეს ბებია და ბაბუა ყოველ დილით ტერასაზე საუზმობენ.



6. დაასახელეთ სწორი ვარიანტი წინა დავალების მიხედვით.

ა. სად ცხოვრობენ ფერიდეს ბებია და ბაბუა?
1. კუნძულზე 2. სტამბოლში

ბ. ვინ ცხოვრობს ხის ვილაში?
1. ფერიდეს ბიძა 2. მისი მეგობრის ბიძა

გ. როგორ ერთობა ფერიდე კუნძულზე?
1. ტერასაზე საუზმობს. 2. ველოსიპედით სეირნობს.

1. შეავსეთ ტექსტი და წაიკითხეთ.

მივდივართ მოდის ვსვამთ ცხოვრობენ ვთამაშობთ აქვს დგას
ვსეირნობთ ვჭამთ გვაქვს გავცქერით ვატარებთ შლიან

ბებიაჩემი და ბაბუაჩემი კუნძულ ჰეიბალიადაზე _____. ამიტომ ყოველ შაბათ_კვირას _____ იქ. ჩვენი სახლი ფერდობზე _____. სახლის წინ ყვავილებით მორთული ტერასა _____. ყოველ დილა_საღამოს დედა და ბებია ტერასაზე _____ სუფრას, _____ ჩაის, _____ ბებიას გამომცხვარ ტკბილეულს და ზღვას _____.

ჩვენს ქუჩაზე ერთი ხის ლამაზი ვილა დგას. ვილას უკან ყვავილებიანი პატარა და ლამაზი ეზო _____. ის ჩემი კუნძულელი მეგობრის – მერიემის ბიძისაა. მერიემიც სტამბოლელია და თითქმის ყოველ შაბათ_კვირას _____ კუნძულზე მშობლებთან ერთად. მე და მერიემი დიდ დროს _____ ერთად – ტყეში დავდივართ, ველოსიპედებით _____ _____, ან ეზოში _____.

2. დააკავშირეთ ტექსტი წინა გვერდზე მოცემულ ფოტოებთან. რომელი ინფორმაცია არ არის ფოტოებზე?

3. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

1.	გამომცხვარი	ა.	სანაპირო
2.	ყვავილებიანი	ბ.	სახლი
3.	ზღვის	გ.	ტკბილეული
4.	კუნძულელი	დ.	ეზო
5.	ხის	ე.	მეგობარი

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____

4. გამოიყენეთ წინა დავალება და დაასრულეთ წინადადებები.

ა. ჩვენს სახლს აქვს _____?_____.

ბ. მე ძალიან მიყვარს ბებიას _____?_____.

გ. დღეს ჩვენთან სტუმრად ჩემი _____?_____. მოდის.

დ. მთის ფერდობზე დგას ლამაზაივნიანი, ძველი _____?_____.

ე. ჩვენს კუნძულს ულამაზესი _____?_____ აქვს.

5. შეადგინეთ მსგავსი წინადადებები და წაიკითხეთ.

6. დააკავშირეთ ერთმანეთთან და გადაწერეთ.

ვინ?	ვისი?
მე	მისი
შენ	თქვენი
ის	ჩემი
ჩვენ	მათი
თქვენ	შენი
ისინი	ჩვენი

_____
_____
_____
_____
_____
_____

7. შეავსეთ დიალოგი შესაბამისი ნაცვალსახელებით.

ჩემი შენი მისი მათი (2X)

– ფერიდე, მერიემი ვინ არის?
– ის _____ კუნძულელი მეგობარია.
– ამ ვილაში მერიემის ბიძა ცხოვრობს?
– კი, ეს ვილა _____.
– ამ სახლში ცხოვრობენ _____ ბებია და ბაბუა?
– არა, აი, ის არის _____ სახლი.
– ისინი დედაშენის მშობლები არიან?
– კი, დედაჩემი _____ შვილია.

8. შეცვალეთ შესაბამისი ნაცვალსახელით.

ა. ეს ფერიდეს **ნათესავების** (_____) სახლია.

ბ. ეს ვილა მერიემის **ბიძისაა** (_____).

გ. ომარ, ეს _____ ველოსიპედია?

დ. ის არის **შენი და თემურის** (_____) მეგობარი?

ე. ეს მამიდაჩემია. ესენი _____ მამიდაშვილები არიან.

ვ. ამ სახლში ფერიდეს **ბებია და ბაბუა** ცხოვრობენ. ეს _____ სახლია.

სად და როგორ ატარებენ შაბათ_კვირას ორჰანი და მისი ოჯახის წევრები?

1. დააკვირდით ნახატსა და ფოტოებს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. ვისთან ერთად ატარებს შაბათ-კვირას ორჰანი?
ბ. სად მიცურავენ ისინი გემით?
გ. რა მოჩანს გემის უკან?
დ. სად სვამენ ცხელ ჩაის?
ე. სად მდებარეობს კაფე?
ვ. სად მიდიან სათევზაოდ?
ზ. რა მოჩანს ხიდიდან?
თ. რას აკეთებენ მეთევზეები ხიდზე?
ი. რას ყიდულობენ ისინი სტამბოლის ქუჩებში?

1

2

3

4

2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სურათებთან.

ა. იქაურობა სავსეა ბორნებითა და თოლიებით, გაზეთებისა და თევზების გამყიდველებით.

ბ. ისინი ყიდულობენ შემწვარ წაბლს და წითელი ტრამვაით სახლში ბრუნდებიან.

გ. ისინი სტამბოლის ნავსადგურში სხდებიან ბორანზე და მიცურავენ გაშლილ ზღვაში.

დ. ორჰანს უყვარს თევზაობა და ზოგჯერ მამასთან ერთადაც თევზაობს.

3. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სურათების მიხედვით.

თქვენი აზრით,

როდის რას აკეთებენ ორჰანი და მისი ოჯახის წევრები?

	დილით	შუადღისას	საღამოს
მიდიან კუნძულზე.			
სვამენ ცხელ ჩაის.			
ბრუნდებიან სტამბოლში.			
ყიდულობენ წაბლს.			
სეირნობენ ხიდზე.			
სეირნობენ ეტლებით.			
უყურებენ ბოსფორს.			
ჭამენ თევზის დონერს.			
მიდიან სახლში.			
მიცურავენ ზღვაში.			
ჭამენ ყველიან სიმითებს.			
სხდებიან ბორანზე.			
თევზაობენ.			
სხედან კაფეში.			
სეირნობენ სანაპიროზე.			

4. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვერსიები.

1. წაიკითხეთ ტექსტი და შეამოწმეთ.

ყოველ შაბათს ან კვირას ოჯახთან ერთად მარმარილოს ზღვის კუნძულებზე მივდივარ. სტამბოლის ნავსადგურში ვსხდებით ბორანში და გაშლილ ზღვაში საათნახევარი მივცურავთ. მე ყოველთვის ფანჯარასთან ვჯდები და მარმარილოს ზღვას გავყურებ. კუნძულზე ველოსიპედებითა და ეტლებით ვსეირნობთ. სეირნობის შემდეგ იქვე, სანაპიროზე თევზის დონერს ვჭამთ. სტამბოლში შუადღისას ვბრუნდებით.

ზოგჯერ მე და მამა გალათას ხიდზე მეთევზეებთან ერთად ვთევზაობთ. ძალიან მიყვარს ბოსფორის სანაპიროზე ჯდომა და ბოსფორის ყურებაც. ვსხდებით ღია კაფეში, ვჭამთ ყველიან სიმითებს, ვსვამთ ცხელ ჩაის და გავცქერით ბოსფორს. იქაურობა სავსეა ბორნებითა და თოლიებით, გაზეთებისა და თევზების გამყიდველებით.

სახლში საღამოს ვბრუნდებით. გზად შემწვარ სიმინდებსა და წაბლს – ქეშთანეს ვყიდულობთ და წითელი ტრამვაით სახლში მივდივართ.

2. შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.

<u>რატომ ჯდება ორჰანი ყოველთვის ფანჯარასთან?</u>

- სხვაგან ადგილი არ არის.
- უყვარს ზღვის ყურება.
- მის ძმას ეშინია ფანჯარასთან ჯდომის.

<u>რატომ სხდებიან ისინი ღია კაფეში?</u>

- ორჰანს უყვარს ბოსფორის ყურება.
- სვამენ ცხელ ჩაის ყველიან სიმითებთან ერთად.
- სხვა კაფეში ადგილი არ არის

3. გამოიყენეთ ტექსტი და გაითამაშეთ დიალოგები.

როდის რას აკეთებს ორჰანი ყოველ შაბათ_კვირას?



4. შეცვალეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

<u>ნიმუში:</u>

ყოველ შაბათს **ვსხდებით** ბორანში და ზღვაში **მივცურავთ**.
მომავალ შაბათს **ჩავსხდებით** ბორანში და ზღვაში **გავცურდებით**.
გასულ შაბათს **ჩავსხედით** ბორანში და **გავცურეთ**.

ა. **ყოველ საღამოს ვჯდები ველოსიპედზე და ვსეირნობ.**
ბ. ხვალ საღამოს ____?____
გ. გუშინ საღამოს ____?____

ა. **ყოველ დილით ვსვამ ცხელ ჩაის და ვჭამ ყველიან სიმითებს.**
ბ. ხვალ დილით ____?____
გ. გუშინ დილით ____?____

ა. **ყოველ კვირას ვზივარ ხიდზე და ვთევზაობ.**
ბ. მომავალ კვირას ____?____
გ. გასულ კვირას ____?____

ა. **ყოველ შაბათს მივდივარ სანაპიროზე და ზღვას ვუყურებ.**
ბ. მომავალ შაბათს ____?____
გ. გასულ შაბათს ____?____

ა. **ყოველ საღამოს ვყიდულობ შემწვარ წაბლს და სახლში ვბრუნდები.**
ბ. ხვალ საღამოს ____?____
გ. გუშინ საღამოს ____?____

5. გამოიყენეთ, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

ა. რას აკეთებ **ყოველ** შაბათს, კვირას? საღამოს, დილით? დღეს?...
ბ. რას აკეთებ **მომავალ** შაბათს, ხვალ, ორი დღის შემდეგ?...
გ. რა გააკეთე **გასულ** შაბათს, კვირას? გუშინ საღამოს? დღეს დილით? ორი დღის წინ?...

სეირნობა (რით? სად?). **ყურება** (რის?). **ყიდვა** (რის? სად?).
დალევა (რის?). **ჭამა** (რის?). **დაჯდომა** (სად? ვისთან ერთად?).
მოსმენა (რის?). **წასვლა** (სად? ვისთან ერთად?).
თამაში (რის? სად? ვისთან ერთად?) **კითხვა** (რის?).

6. ისაუბრეთ თქვენ შესახებ.

ა. რა გააკეთეთ **გასულ** შაბათ_კვირას? გუშინ საღამოს? დღეს დილით?
ბ. რას გააკეთებთ **მომავალ** შაბათ_კვირას? ხვალ დილით, საღამოს?

ითამაშეთ და შეამოწმეთ თქვენი ცოდნა.

4

ისაუბრე შენი და შენი ოჯახის შესახებ.

ა. როგორ გაატარეთ გასული შაბათ-კვირა?

ბ. ვისთან ერთად?

გ. სად იყავით?

დ. რა გააკეთეთ?

3

ისაუბრე მათ შესახებ.

რა ჰქვია? როგორია? რა აქვს და როგორი?

სად ბინადრობს?
რა ჰვია მის ნაშიერს?





7

დაასახელე და ისაუბრე მათ შესახებ.

ა. როგორია გარეგნულად?

ბ. როგორი თვისებები

გ. აქვს?

დ. სად ბინადრობს?

ე. რას აკეთებს?

ვ. რა უყვარს და ა.შ.







2

გაითამაშე დიალოგი კლასელთან ერთად.

ა. რის გაკეთებას აპირებთ მომავალ შაბათ-კვირას?

ბ. როგორ გაატარებთ დროს?

გ. სად წახვალთ?

დ. რას გააკეთებთ?

ე. ვისთან ერთად და ა.შ.

6

გაითამაშე დიალოგი მეწყვილესთან ერთად.

ა. როგორ ატარებთ ხოლმე შაბათ-კვირას?

ბ. რას აკეთებთ?

გ. სად მიდიხართ?

დ. ვისთან ერთად და ა.შ.

5

ისაუბრე შენი ნაცნობი ზოოპარკის შესახებ.

ა. სად არის?

ბ. როგორია?

გ. რომელი ცხოველები და ფრინველები ბინადრობენ იქ?

1

ისაუბრე შენ შესახებ.

როგორია ერთი ჩვეულებრივი შაბათ-კვირა

ა. რას აკეთებ ხოლმე?

ბ. რითი ერთობი?

გ. სად მიდიხარ და ვისთან ერთად?

წაიკითხეთ და მიუთითეთ, რა შეგიძლიათ.

Okuduğumu anlıyorum.

Diyalogu anlayabiliyorum.

Anlamaktan ziyade daha iyi konuşuyorum.

Bu sözleri hatırlamakta zorluk çekmiyorum.

Bu konular hakkında konuştuklarını anlıyorum.

რა გვიშლის ხელს? მონიშნეთ შესაბამისი უჯრა.

İmkânlarımı gerektiği gibi kullanmıyorum.	
Zamanımı doğru biçimde kullanamıyorum.	
Eğlenmeye çok zaman ayırıyorum.	
Hata yapmaktan korktuğum için derse aktif biçimde katılmıyorum.	
Anlamadığımda kimseden yardım istemiyorum.	
Sözlük, anket, şema, yapısal model vs. ilave kaynakları yapmıyorum.	
Kendi yaptığım kaynakları kullanmıyorum.	
Geçmiş konuları düzenli bir biçimde tekrarlamıyorum.	
Zor ve anlamadığım materyal üzerine kötü çalışıyorum ya da çalışmıyorum.	

დამატებითი საკითხავი

აბა, გამოიცანით!



1. ლეილას ეზოში ოთხი შინაური ცხოველია: ერთი ცხოველი კნავის, მეორე ყეფს, მესამე ზმუის, მეოთხე ბღავის.

   რა ცხოველები ჰყავს ლეილას?
   დაასახელეთ, რომელი ცხოველი რას აკეთებს.

2. გურამის ეზოში სამი შინაური ფრინველია: ერთი ფრინველი ყივის, მეორე კაკანებს, მესამე სისინებს.

   რა ფრინველები ჰყავს გურამს?
   დაასახელეთ, რომელი ფრინველი რას აკეთებს.

3. ერთ ტყეში ოთხი გარეული ფრინველია: ერთი დიდი ფრინველი ღამით იღვიძებს და დილით იძინებს. ერთ პატარა ფრინველს თავზე სავარცხელი აქვს, ერთი ფრინველი კი ხეს გრძელ ნისკარტს უკაკუნებს.

   რომელი ფრინველები ბინადრობენ ამ ტყეში?



ვის მოჰყავს გაზაფხული

საცაა თებერვლის თვე ჩათავდება. უკვე დროა – ვის მოჰყავს გაზაფხული?...

– ვიხ მოჰყავს გაზაფხული, ლამაზი და მშვენიერი, დიდებული და დიადი, სითბოთი და სილაღით სავსე?...

– ვის მოჰყავს?

ციყვი, კურდღელი, ზღარბი, მელა, დათუნია... მოლოდინით დაიღალნენ.

ფანჯრიდან პატარა გოგო იყურება: „ვის მოჰყავსო?" – თვალებით კითხულობს.

ჩიტი კი მოუსვენრად აქეთ-იქეთ აწყდება და იძახის:

– როგორ თუ ვის მოჰყავს?! დაინახეთ, დაინახეთ, ენძელები და იები ამოსულან!..

ტირიფის ხე უკმაყოფილოდ შეირხა:

– რა დროსია, ჯერ ისევ ცივია, ჯერ ისევ ცივი ქარი ქრის, ჯერ ისევ ღრუბლიანია ცა...

აი, თოვს კიდეც!

– აბა, თოვლი? – იკითხეს ციყვმა, კურდღელმა, ზღარბმა, მელამ დათუნიამ... და ცისკენ დაიწყეს ყურება.

– ვაიმე, თოვს, რატომ თოვს? – დაიძახა ფანჯრიდან გოგონამ.

გოგონას თავისი ლამაზი ფისო მიუჯდა გვერდით და ჰკითხა:

– შენ არ იყავი, მთელი ზამთარი იმ თეთრ ფანტელებთან რომ თამაშობდი, ახლა რას გიშავებენ?

გოგონამ შესჩივლა:

– მაშინ ზამთარი იყო, არაფერს აშავებდნენ, ახლა ენძელებს და იებს დაათოვეს....

ფისომ თვალები ნებიერად მოჭუტა და წაიკრუტუნა:

– მერე რა, ენძელებსა და იებს თვითონ არ ეშინიათ სიცივის და თოვლის, შენ რა გაშინებს?..

უცებ ფანჯარასთან ჩიტი მოფრინდა.

– ჰეიი, ვის მოჰყავს გაზაფხული, კიდევ ვინ არის გულადი. ვიინ? – გასძახა ჩიტს.

– მე! – წაიმღერა ვიღაცამ ნაზად.

გოგონამ და ფისომ ყურები ცქვიტეს; ვინ არისო? გაიხედ-გამოიხედეს და კედლის ძირას ამოსული პაწია, ლამაზი ცისფერკაბა ყვავილი დაინახეს, მთლად თოვლის ფიფქების კორიანტელში გახვეული.

მერი ბოლქვაძე

მიუნჰაუზენის თავგადასავალი

დიდცხვირა ჩია ბერიკაცი ბუხართან იჯდა და თავის თავგადასავალს უამბობდა ირგვლივ შემოკრებილ ხალხს.

უცნაურ ამბებს ჰყვებოდა მიუნჰაუზენი, სხვები კი იცინოდნენ და იცინოდნენ:

– მიუნჰაუზენი და სიმართლის თქმა? ჰა-ჰა-ჰა!

მოხუცი მიუნჰაუზენი ყურადღებას არ აქცევდა სხვების სიცილ-ხარხარს და ყვებოდა ათას უცნაურ ამბავს – – როგორ აფრინდა მთვარეზე და მერე ისევ როგორ ჩამოფრინდა, როგორ ამოუვიდა ირემს თავზე ალუბლის ხე, როგორ იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ აღმოჩნდა ვეშაპის მუცელში და და თეთრი დათვის ტყეში...

ვეშაპთან შეხვედრა

ერთხელ გემით ამერიკაში გავემგზავრე, სადაც არც ნიანგებია და არც ლომები.

ათი დღე მივცურავდით. ერთხელ ერთ უზარმაზარ ვეშაპს დავეჯახეთ, რომელსაც წყალზე ეძინა. გამოიღვიძა ვეშაპმა, ჩაავლო კბილები ჩვენს გემს და აქეთ-იქით აცურავებდა ოკეანის ზედაპირზე.

თევზის კუჭში

ერთი კვირის შემდეგ იტალიაში ვიყავით. მშვენიერი მზიანი დილა გათენდა. წავედი ზღვის ნაპირზე. წყალი თბილი იყო და ნაპირიდან შორს გავცურე. უცებ ვხედავ, ჩემკენ უზარმაზარი თევზი მიცურავს. დააღო თევზმა პირი და... ერთ წუთში თევზის მუცელში ამოვყავი თავი. იქ მართლია თბილოდა, მაგრამ ძალიან ბნელოდა. დავიწყე სეირნობა. დავდიოდი წინ და უკან. მერე ხტომა და ცეკვა დავიწყე. ბოლოს იტალიელი მეზღვაურების დახმარებით ამ თევზის მუცლიდან გამოვძვერი.

ადამიანი ყუმბარა

შემდეგ თურქეთში ვიყავით. თურქეთიდან ეგვიპტეში წავედით და ბოლოს ისევ იტალიაში დავბრუნდით. ერთ ხანს იტალიაში ვცხოვრობდი. შემდეგ ინგლისში დავსახლდი. ერთხელ ლონდონის მიდამოებში ვსეირნობდი. ზაფხულის დღე იყო. მზე საშინლად აცხუნებდა. ერთ ძველ ზარბაზანს წავაწყდი. შევძვერი ზარბაზნის ლულაში და დავიძინე. ამ დროს ერთმა ინგლისელმა მეზარბაზნემ ეს ზარბაზანი გაისროლა და მეც ყუმბარასავით გავვარდი. ერთი გლეხის ეზოში თივის ზვინში ჩავერჭე და სამი თვე იქ ვიყავი.

თეთრ დათვებს შორის

ერთხელ ერთ ცნობილ მოგზაურთან ერთად ჩრდილოეთის პოლუსზე წავედი. მივუახლოვდით ანტარქტიდას. შორს ყინულის მაღალი მთა დავინახე. იქ ორი თეთრი დათვი გორაობდა. ვისკუპე გემიდან და მცურავ ყინულს დავახტი. ავცოცდებოდი ყინულის კლდეზე, მერე ისევ ძირს ვცურდებოდი, ავცოცდებოდი, ვცურდებოდი, ბოლოს როგორც იქვა, ავედი მწვერვალზე და დათვებთან მივედი. ათასობით უზარმაზარი თეთრი დათვი ვნახე იმ კუნძულზე.

ყველის კუნძული

ერთხელ ჰოლანდიური გემით გავემგზავრე შორს. შუა ოკეანეში ამოვარდა გრიგალი. სად მივცურავდით, არ ვიცოდით, სამი თვე აქეთ-იქით გვახეთქებდა ოკეანის ტალღები. ერთ მშვენიერ დილას კი რას ვხედავთ? ზღვა თეთრად ქათქათებს. ქარსაც რაღაც უცნაური სუნი მოაქვს. ერთი საათის შემდეგ ნავსადგურში შევედით. წყლის ნაცვლად რძე იდგა. ის უცნაური სუნიც ყველის იყო. კუნძულიც საუკეთესო ჰოლანდიური ყველისაგან იყო გაკეთებული. კუნძულის მცხოვრებლებს სამი ფეხი ჰქონდათ. იმ კუნძულზე სულ პურისა და ტკბილი ნამცხვრების ხეები დგას.

თევზის მიერ ჩაყლაპული გემები

ერთხელ ჩვენს გემს უზარმაზარი ვეშაპები შემოესივნენ. ერთ ვეშაპს წყალი მოსწყურდა, გააღო პირი და წყალთან ერთად ჩვენი გემიც გადაყლაპა.

ვეშაპის მუცელი გემებით იყო სავსე. ეს ვეშაპი დღეში ორჯერ სვამდა წყალს. გააღებდა პირს და ხახაში ზღვის წყალს ისხამდა. ჩვენი გემი კი ვეშაპის მუცელში ამ დიდ ტალღებზე ცურავდა. ჩვენ გარდა იქ იყვნენ ინგლისელები, შვედები და პორტუგალიელები. ბევრი უკვე რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა იქ. სულ 75 გემი იყო იმ ვეშაპის მუცელში.

როგორც იქნა გამოვძვერით ამ ვეშაპის მუცლიდან ყველა. როგორც გავიგეთ, კასპიის ზღვაში ვიყავით. იქ როგორ მოვხვდით, დღესაც არ ვიცი.

მეორე მოგზაურობა მთვარეზე

ერთხელ გემით სამხრეთ ოკეანეში მივცურავდით. მეთვრამეტე დღეს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ჩვენი გემი პირდაპირ ცაში აიტაცა. ექვსი კვირა დავფრინავდით ღრუბლებში. ბოლოს ერთი მრგვალი კუნძული დავინახეთ. ეს კუნძული იყო მთვარე. გადავედით მთვარის ნაპირზე. ქვევით, ძალიან შორს სხვა პლანეტა დავინახეთ. იქ იყო ქალაქები, ტყეები, მთები და მდინარეები. ეს ჩვენი დედამიწა იყო. მთვარეზე ყველაფერი ძალიან დიდი იყო, ვიდრე ჩვენთან, დედამიწაზე. ბუზი იქ ცხვირისოდენაა, ვაშლი კი ჩვენი საზამთროსხელა.

იქ ერთი შორეული ვარსკვლავის რამდენიმე მცხოვრები ვნახე. მთვარეზე საყიდლად იყვნენ ჩამოსულები.

მთვარის მცხოვრებლები ჭამაზე დროს არ კარგავდნენ. მუცელზე ერთი კარი ჰქონდათ. გააღებდნენ ამ კარს და შეაწყობდნენ შიგ საჭმელს შემდეგ სადილამდე. ისინი თვეში ერთხელ წამდნენ.

მთვარის ადამიანებს თითო ხელზე თითო თითი აქვთ, თავი კი იღლიის ქვეშ აქვთ ამოდებული. როცა სადმე მიდიან, თავი არ მიაქვთ, სახლში ტოვებენ. თვალებსაც იღებენ ხოლმე. ზოგჯერ ახალ თვალებს ყიდულობენ ხოლმე. მთვარეზე ბევრია თვალების მაღაზია და ასე აწერია: "იყიდება თვალები იაფად. ბევრია ნარინჯისფერი, წითელი, იისფერი და ლურჯი".

დედამიწიდან რომ სეტყვა მოდის, ეს მთვარიდან ჩამოცვენილი ყურძნის მარცვლებია.

მთვარეზე ყოველ წელს სხვადასხვა ფერის თვალებია მოდაში. მე რომ მთვარეზე ვიყავი, მაშინ მოდაში მწვანე და ყვითელი თვალები იყო.

რატომ იცინით? თქვენ ფიქრობთ, რომ ვიტყუები? ჩემი თუ არ გჯერათ, წადით მთვარეზე და თქვენ თვითონ ნახეთ.



<u>მოგზაური მაიმუნები</u>

– მოდი, ერთი ვნახოთ, რა ხდება, რა ამბავია ქვეყნიერებაზეო, – იფიქრეს მაიმუნებმა და სამოგზაუროდ წავიდნენ. ცოტა ირბინეს თუ ბევრი ირბინეს, დაიღალნენ და ჩამოსხდნენ.

– აბა, გაიხედ-გამოიხედეთ, რასა ვხედავთ? – იკითხა ერთმა მაიმუნმა.

– რას ვხედავთ და გალიაში ლომია, აუზში – სელაპი, იმ ბაკში კი ჟირაფია. ქვეყანა დიდია, დიდი! მოგზაურობას რა სჯობს!

ამის თქმა იყო და ისევ გაქანდნენ. სანამ მაგრად არ გაიქაფნენ, აღარ შეუსვენიათ.

უკვე შუადღის მზე აჭერდა.

– ახლა რაღას ვხედავთ? – კიდევ იკითახ მაიმუნმა.

– რას ვხედავთ და ბაკში ჟირაფია, აუზში – სელაპი, იმ გალიაში კი ლომია.

– მართლაც დიდია ქვეყანა, დიდი! მოგზაურობას რას ჯობს! – წამოხტნენ მაიმუნები და გზა განაგრძეს. ირბინეს, ირბინეს და, ქანცი რომ გაუწყდათ, მზეც ჩასვლაზე იყო.

– აბა, თუ იტყვი, რას ვხედავთ?

– რას ვხედავთ და გალიაში ლომის, ბაკში – ჟირაფი, აუზში კი სელაპი ჭყუმპალაობს.

– ეჰ, მართლა მოსაწყენია ეს ქვეყანა! სულ ერთი და იგივე ყელში ამოვიდა. არა, მოგზაურობა-შიც რა ყრია? არაფერი!

ოღონდ მოგზაურს გააჩნია. სირბილით კი დილიდან საღამომდე დარბოდნენ, მაგრამ ახლა იმას არ იკითხავ, სად მოგზაურობდნენ? სადა და თავიანთ გალიაში.

ჯანი როდარი





მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები

მოსასმენი ტექსტების ტრანსკრიფციები

პირველი თემა (ერთი დღე)

Track 1

- რას აკეთებ ცხრა საათზე?
- სკოლაში მივდივარ.
- რომელ საათზე იღვიძებ?
- რვა საათზე, შენ რომელ საათზე იღვიძებ?
- მე შვიდ საათზე ვიღვიძებ...

Track 2

<u>პირველი დიალოგი.</u>

- როდის სწავლობ გაკვეთილებს?
- შუადღისას. ჯერ ვსადილობ და შემდეგ ვმეცადინეობ, შენ?
- მე საღამოს ვსწავლობ.
- ყოველთვის საღამოს სწავლობ?
- ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად.

<u>მეორე დიალოგი.</u>

- რას აკეთებ სკოლის შემდეგ?
- ჯერ ვსწავლობ გაკვეთილებს, შემდეგ ვთამაშობ ან ვხატავ.
- საღამოს რას აკეთებ?
- საღამოს ტელევიზორს ვუყურებ.
- რომელ საათზე იძინებ?
- ათის ნახევარზე.

მეორე თემა (წელიწადის დროები)

Track 3

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი –
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადიც მზად არი.

Track 4

ბევრ ქვეყანაში და მათ შორის ჩვენთანაც გაზაფხული მარტიდან იწყება, ოღონდ ნამდვილი გაზაფხული არა პირველიდან, არამედ 21 მარტიდან იწყება. 21 მარტს დღე და ღამე ერთმანეთის ტოლია. ნამდვილი ზაფხული დგება 22 ივნისს. ამ დღეს დღე ყველაზე გრძელია, ღამე კი - ყველაზე მოკლე. 23 სექტემბერი ნამდვილი შემოდგომის პირველი დღეა. აქაც დღე და ღამე ერთმანეთის ტოლია. 22 დეკემბერი წელიწადის ყველაზე მოკლე დღეა. სწორედ ამ დღეს იწყება ნამდვილი ზამთარი.

Track 6

– რომელი თვე გიყვარს?
– ივლისი. შენ?
– ოქტომბერი. რატომ გიყვარს ივლისი?
– იმიტომ, რომ ივლისში ზღვაზე მივდივარ. შენ რატომ გიყვარს ოქტომბერი?
– იმიტომ, რომ ჩემი დაბადების დღე ოქტომბერშია.

Track 7

ხვალ დილით იქნება წვიმა, შუადღისას – მზე და საღამოს ისევ წვიმა.

Track 8

დასავლეთ საქართველოში იქნება ღრუბლიანი ამინდი. სამხრეთ საქართველოში მოსალოდნელია სუსტი ქარი და მზიანი ამინდი. ჩრდილოეთით მოსალოდნელია თოვლი. აღმოსავლეთით მოსალოდნელია ძლიერი ქარი და წვიმიანი ამინდი.

Track 9

- რატომ გიყვარს ახალი წელი?
- იმიტომ, რომ თოვლის პაპა მოდის და
  საჩუქრები მოაქვს.
- როგორ ემზადებით ახალი წლისთვის?
- ვდგამთ ნაძვის ხეს. დედა საახალწლო
  კერძებს ამზადებს.
- როგორ ხვდებით ახალ წელს?
- მაშხალებს ვანთებთ და ვმხიარულობთ. მერე სუფრასთან ვსხდებით,
  საახალწლო გადაცემებს ვუყურებთ და თოვლის პაპას ველოდებით.

მესამე თემა (დაბადების დღე)

Track 10

მე არჩილი მქვია, ვსწავლობ მეცხრე კლასში. ესენი ჩემი ნათესავები არიან. გურამი ჩემი დეიდაშვილია, ხათუნა – მამიდაშვილი. გურამიც მეცხრე კლასში სწავლობს, ჩემი მამიდაშვილი კი მეათეშია. ჩემი დეიდაშვილი ქუთაისში ცხოვრობს, ჩემი მამიდაშვილი კი – ახალციხეში.

Track 11

– როდის გაქვს დაბადების დღე?
– ოცდაერთ მარტს. შენ?
– მე თოთხმეტ სექტემბერს მქონდა.
– რამდენი წლის გახდი?
– ცხრა წლის.
– მე მარტში გავხდები ცხრა წლის.
– შენს ძმას როდის აქვს დაბადების დღე?
– ჩემს ძმასაც მარტში აქვს.

Track 12

– ბაბუ, მე ვარ ნათია.
– სად ხარ, ბაბუ?
– ახლა სკოლაში ვარ. დაბადების დღეს გილოცავ! ძალიან მიყვარხარ!
– მადლობა, ნათია. ჩვენთან არ მოხვალ?
– კი, საღამოს აუცილებლად მოვალ

Track 13

1. ცხრათვალა მზეს დაბადების დღე აქვს,
ხუმრობაა? გახდა დიდი გოგო,
გამოუცხო ცამ ნისლების ტორტი
და ღრუბლების ბეზეებით მორთო.

მოშხაპუნდა ქალბატონი წვიმა,
მოიყვანა ერთი ბეწო წვეთი,
შემოუსხდნენ მეგობრები სუფრას,
მზე ხალისობს, მზე იცინის, მღერის.

2. - გილოცავ, დათუჩა. - მეც გილოცავ, მეც, მეც...
- აი, ეს შენ!
- აჰა, ესეც შენ. - ეს სულ შენია, აჰა!...

<u>სიმღერა:</u>

რა ლამაზი დღეა!
რა ნათელი მზეა!
იმიტომ, რომ დღეს დათუჩას
დაბადების დღეა!

Track 14

ფუტკარს
ხელში ნესტარი ჩამასვი,
ცრემლი მადინე ცხარე;
თაფლი შაქარზე ტკბილი გაქვს,
კბენა რად იცი მწარე?

ტარიელ ხავთასი

Track 15

სახლი

ჩიტს ბუდე აქვს,
დათვს - ბუნაგი,
ციყვს - ფულურო,
თაგვს კი სორო.
ყველა თავის ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.

Track 16

ტყეში ბევრი ხეა, დიდები, უფრო დიდები და სულ დიდები. ხეებზე კი ჩიტუნები დაფრინავენ: ჭრელები, შავები, გრძელკუდიანები და გრძელნისკარტიანები, ჟღურტულე-ბი და ლამაზები. აქვე ცხოვრობს მშიშარა კურდღელი, ეშმაკი მელა, ეკლებიანი ზღარბი და მშრომელი ჭიანჭველები.

Track 17

ჩემი სოფელი მთაშია. იქ ძალიან დიდი და მაღალი მთებია. ტყე კი ჩემი სოფლის გვერდითაა. ტყეში წავალ და სოკოებს დავკრეფ. სოფელში ძალიან ლამაზი ეზო გვაქვს და ბევრი ფრინველი და ცხოველი გვყავს.

Track 18

- სად გაატარებ ზაფხულის არდადეგებს?
- ჯერ მთაში წავალ, მერე წავალ ზღვაზე. შენ რას აპირებ?
- მე ჩემს სოფელში წავალ ბებიასთან და ბაბუასთან.
- იქ რას გააკეთებ?
- დილით ტყეში წავალთ, სოკოს მოვკრეფთ, მინდორში ვირბენთ. შუადღისას მდინარეში ვიბანავებთ, ვითევზავებთ. შენ როგორ გაატარებ არდადეგებს?
- მე ზღვაში ვიცურავებ, გემით ვისეირნებ. საღამოს ჩემს ბიძაშვილებთან ერთად ქალაქში ვისეირნებ, ფეხბურთსაც ვითამაშებთ.

მეხუთე თემა (შაბათ-კვირას)

Track 20

პატარა სელაპები ძალიან მხიარულები არიან. ჭკვიანი და მხიარული ცხოველია დელფინიც. დელფინს უყვარს თამაში და წყალში ხტუნვა.

Track 21

ვეშაპი, დელფინი და სელაპი წყლის დიდი ცხოველები არიან. ვეშაპს და დელფინს დიდი თავები აქვს. სელაპს აქვს პატარა თავი და მოკლე კისერი. ზოგიერთ ვეშაპს და დელფინს ზურგზე აქვს ფარფლები. ზოგიერთ სელაპს კი აქვს ყურები. ყურები აქვს დელფინსაც. ვეშაპს და სელაპს აქვს ულვაში. დელფინს ულვაში არ აქვს. ზოგიერთ დელფინს ზურგზე აქვს ხალები. ზოგიერთ ვეშაპს კი ზურგზე ზოლები და კუზი აქვს.

ქართულ-თურქული თემატური ლექსიკონი

დრო / თვე / სიხშირე	
აგვისტო (აგვისტო-სი)	ağustos
აპრილი (აპრილ-ის)	nisan
გაზაფხული (გაზაფხულ-ის)	ilkbahar
დეკემბერი (დეკემბრ-ის)	aralık
ზაფხული (ზაფხულ-ის)	yaz
ზამთარი (ზამთრ-ის)	kış
თებერვალი (თებერვლ-ის)	şubat
თვე (თვ-ის; თვე-ები)	ay
იანვარი (იანვრ-ის)	ocak
ივლისი (ივლის-ის)	temmuz
ივნისი (ივნის-ის)	haziran
მაისი (მაის-ის)	mayıs
მარტი (მარტ-ის)	mart
ნოემბერი (ნოემბრ-ის)	kasım
ოქტომბერი (ოქტომბრ-ის)	ekim
სექტემბერი (სექტემბრ-ის)	eylül
სეზონი (სეზონ-ის; სეზონ-ები)	mevsim
შემოდგომა (შემოდგომ-ის)	sonbahar
წელიწადი (წელიწად-ის; წელიწად-ები)	yıl, sen
ადრე	erken
არასოდეს	hiçbir zaman
ახლა	şimdi
გვიან	geç
თანდათან	yavaş-yavaş
იშვიათად	nadiren
მერე	sonra
მეტად	çok fazla
ნაკლებად	daha az
ყოველთვის	her zaman
შემდეგ	sonra
ხშირად	sürekli

ამინდი	
ამინდი (ამინდ-ის; ამინდ-ები)	hava
ავდარი (ავდრ-ის)	kötü hava
გრილი	serin
დარი	iyi hava
თბილი	sıcak
კლიმატი	iklim
ნოტიო	nem
ცივი	soğuk
ცხელი	sıcak
ელჭექი (ელჭექ-ის)	gök gürlemesi
თოვლი (თოვლ-ის)	kar
ნიავი (ნიავ-ის)	serin rüzgâr
ნისლი (ნისლ-ის)	sis
სიცივე (სიცივ-ის)	soğuk
სიცხე (სიცხ-ის)	sıcak
ფიფქი (ფიფქ-ის; ფიფქ-ები)	kar tanesi
ქარი (ქარ-ის)	rüzgâr
წვიმა (წვიმ-ის)	yağmur

გართობა / დღესასწაულები	
ანკესი (ანკეს-ის; ანკეს-ები)	olta
არდადეგები (არდადეგებ-ის)	tatil
ახალი წელი (ახალი წლ-ის)	yeni yıl
ბედნიერება (ბედნიერებ-ის)	mutluluk
ბეზე (ბეზე-სი; ბეზე-ები)	beze
დაბადების დღე (დღ-ის; დღე-ები)	doğum günü
დღესასწაული (დღესასწაულ-ის; დღესასწაულ-ები)	bayram
თოვლის პაპა (პაპ-ის; პაპ-ები)	noel baba
თხილამურები (თხილამურებ-ის)	kayak
კერძი (კერძ-ის; კერძ-ები)	yemek
მაშხალა (მაშხალ-ის; მაშხალ-ები)	havai fişek
მისალოცი ბარათი (ბარათ-ის; ბარათ-ები)	tebrik kartı
ნაძვის ხე (ხ-ის; ხე-ები)	noel ağacı
საახალწლო სუფრა (სუფრ-ის; სუფრ-ები)	yılbaşı yemeği
საჩუქარი (საჩუქრ-ის; საჩუქრ-ები)	hediye
სანთელი (სანთლ-ის; სანთლ-ები)	mum
სიხარული (სიხარულ-ის)	sevinç
ტკბილეული (ტკბილეულ-ის)	tatlı
ტორტი (ტორტ-ის; ტორტ-ები)	pasta
ციგა (ციგ-ის; ციგ-ები)	kızak

მცენარეები / ცხოველები	
ლუჩა (ალუჩ-ის; ალუჩ-ები)	erik
აქლემი (აქლემ-ის; აქლემ-ები)	deve
არწივი (არწივ-ის; არწივ-ები)	kartal
ბალახი (ბალახ-ის; ბალახ-ები)	ot
ბალი (ბლ-ის; ბლ-ები)	kiraz
ბარტყი (ბარტყ-ის; ბარტყ-ები)	kuş yavrusu
ბატი (ბატ-ის; ბატ-ები)	kaz
ბატკანი (ბატკნ-ის; ბატკნ-ები)	kuzu
ბაჭია (ბაჭი-ის; ბაჭი-ები)	tavşan yavrusu
ბახალა (ბახალ-ის; ბახალ-ები)	karga yavrusu
ბეჰემოტი (ბეჰემოტ-ის; ბეჰემოტ-ები)	su aygırı
ბელი (ბელ-ის; ბელ-ები)	ayı yavrusu (balak)
ბეწვი (ბეწვ-ის; ბეწვ-ები)	kıl
ბიბილო (ბიბილო-სი; ბიბილო-ები)	kulak memesi
ბოკვერი (ბოკვრ-ის; ბოკვრ-ები)	aslan yavrusu
ბრჭყალი (ბრჭყალ-ის; ბრჭყალ-ები)	pençe
ბუ (ბუ-სი; ბუ-ები)	baykuş
ბუდე (ბუდ-ის; ბუდე-ები)	yuva
ბუმბული (ბუმბულ-ის; ბუმბულ-ები)	tüy
ბუნაგი (ბუნაგ-ის; ბუნაგ-ები)	in
ბუზი (ბუზ-ის; ბუზ-ები)	sinek
გუგული (გუგულ-ის; გუგულ-ები)	guguk kuşu
დათვი (დათვ-ის; დათვ-ები)	ayı
დელფინი (დელფინ-ის; დელფინ-ები)	yunus balığı
ეკალი (ეკლ-ის; ეკლ-ები)	diken
ენძელა (ენძელ-ის; ენძელ-ები)	kardelen
ვერხვი (ვერხვ-ის; ვერხვ-ები)	kavak ağacı
ზებრა (ზებრ-ის; ზებრ-ები)	zebra
ზოლი (ზოლ-ის; ზოლ-ები)	sinir , çizgi
ზღარბი (ზღარბ-ის; ზღარბ-ები)	kirpi
თათი (თათ-ის; თათ-ები)	pençe
თიკანი (თიკნ-ის; თიკნ-ები)	keçi yavrusu
თხა (თხ-ის; თხ-ები)	keçi
კაკალი (კაკლ-ის; კაკლ-ები)	ceviz
კალია (კალი-ის; კალი-ები)	çekirge
კატა (კატ-ის; კატ-ები)	kedi

მცენარეები / ცხოველები	
კაჭკაჭი (კაჭკაჭ-ის; კაჭკაჭ-ები)	saksağan
კისერი (კისრ-ის; კისრ-ები)	boyun
კნუტი (კნუტ-ის; კნუტ-ები)	kedi yavrusu
კოდალა (კოდალა-სი; კოდალ-ები)	ağaçkakan
კოზაკი (კოზაკ-ის; კოზაკ-ები)	deve yavrusu
კუდი (კუდ-ის; კუდ-ები)	kuyruk
კურდღელი (კურდღლ-ის; კურდღლ-ები)	tavşan
კუზი (კუზ-ის; კუზ-ები)	kambur
კვიცი (კვიც-ის; კვიც-ები)	tay
ლეკვი (ლეკვ-ის; ლეკვ-ები)	enik
ლიფსიტა (ლიფსიტ-ის; ლიფსიტ-ები)	balık yavrusu
ლომი (ლომ-ის; ლომ-ები)	aslan
მაიმუნი (მაიმუნ-ის; მაიმუნ-ები)	maymun
მამალი (მამლ-ის; მამლ-ები)	horoz
მართვე (მართვე-სი; მართვე-ები)	kartal yavrusu
მარწყვი (მარწყვ-ის; მარწყვ-ები)	çilek
მელა (მელა-სი; მელი-ები)	tilki
მერცხალი (მერცხლ-ის; მერცხლ-ები)	kırlangıç
მგელი (მგლ-ის; მგლ-ები)	kurt
ნაძვი (ნაძვ-ის; ნაძვ-ები)	köknar ağacı
ნესტარი (ნესტრ-ის)	arı dikeni
ნიანგი (ნიანგ-ის; ნიანგ-ები)	timsah
ნისკარტი (ნისკარტ-ის; ნისკარტ-ები)	gaga
ნუკრი (ნუკრ-ის; ნუკრ-ები)	ceren
პეპელა (პეპლ-ის; პეპლ-ები)	kelebek
პინგვინი (პინგვინ-ის; პინგვინ-ები)	penguen
რქა (რქ-ის; რქ-ები)	boynuz
სელაპი (სელაპ-ის; სელაპ-ები)	fok balığı
სპილო (სპილო-სი; სპილო-ები)	fil
სპლიყვი (სპლიყვ-ის; სპლიყვ-ები)	fil yavrusu
ფაფარი (ფაფრ-ის; ფაფრ-ები)	yele
ფარფლები	yüzgeç
ფარშავანგი (ფარშავანგ-ის; ფარშავანგ-ები)	tavuskuşu
ფიჭვი (ფიჭვ-ის; ფიჭვ-ები)	çam ağacı
ფრთა (ფრთ-ის; ფრთ-ები)	kanat

მცენარეები / ცხოველები	
ფუღურო (ფუღურო-სი; ფუღურო-ები)	kovuk
ფუტკარი (ფუტკრ-ის; ფუტკრ-ები)	arı
ქათამი (ქათმ-ის; ქათმ-ები)	tavuk
ქოჩორი (ქოჩრ-ის; ქოჩრ-ები)	ibik (perçem)
ღლაპი (ღლაპ-ის; ღლაპ-ები)	yavru
ყვავი (ყვავ-ის; ყვავ-ები)	karga
შველი (შვლ-ის; შვლ-ები)	ceylan
ჩლიქი (ჩლიქ-ის; ჩლიქ-ები)	toynak
ციყვი (ციყვ-ის; ციყვ-ები)	sincap
ცხენი (ცხენ-ის; ცხენ-ები)	at
ცხვარი (ცხვრ-ის; ცხვრ-ები)	koyun
ძაღლი (ძაღლ-ის; ძაღლ-ები)	köpek
ძროხა (ძროხ-ის; ძროხ-ები)	inek
წაბლი (წაბლ-ის; წაბლ-ები)	kestane
წიწილა (წიწილ-ის; წიწილ-ები)	civciv
ჭიამაია (ჭიამაია-სი; ჭიამაი-ები)	uğur böceği
ჭიანჭველა (ჭიანჭველა-სი; ჭიანჭველ-ები)	karınca
ჭრიჭინა (ჭრიჭინა-სი; ჭრიჭინ-ები)	ağustos böceği
ხბო (ხბო-სი; ხბორ-ები)	buzağı
ხორთუმი (ხორთუმ-ის; ხორთუმ-ები)	hortum
ჯიხვი (ჯიხვ-ის; ჯიხვ-ები)	dağ keçisi

გარემო / მხარეები	
აღმოსავლეთი (აღმოსავლეთ-ის)	doğu
ბაღი (ბაღ-ის; ბაღ-ები)	bahçe
ბოსელი (ბოსლ-ის; ბოსლ-ები)	ahır
ბოსტანი (ბოსტნ-ის; ბოსტნ-ები)	sebze bahçesi, bostan
ბუნება (ბუნებ-ის)	doğa
გარემო (გარემო-სი)	çevre
დასავლეთი (დასავლეთ-ის)	batı
დასახლება (დასახლებ-ის; დასახლებ-ები)	yerleşme
ვენახი (ვებახ-ის; ვენახ-ები)	üzüm bağı
ზღვა (ზღვ-ის; ზღვ-ები)	deniz
კენჭი (კენჭ-ის; კენჭ-ები)	çakıl taşı
კლდის ქიმი	kaya kenari
კუნძული (კუნძულ-ის; კუნძულ-ები)	ada
მდინარე (მდინარ-ის; მდინარე-ები)	nehir
მინდორი (მინდვრ-ის; მინდვრ-ები)	ova
მიწა (მიწ-ის)	toprak
მთა (მთ-ის; მთ-ები)	dağ
მთის კალთა (კალთ-ის; კალთ-ები)	dağ eteği
ნალია (ნალი-ის; ნალი-ები)	kiler
ნავსადგური (ნავსადგურ-ის; ნავსადგურ-ები)	liman
სამხრეთი (სამხრეთ-ის)	güney
სანაპირო (სანაპირო-სი; სანაპირო-ები)	sahil
საქათმე (საქათმ-ის; საქათმე-ები)	kümes
ტალღა (ტალღ-ის; ტალღ-ები)	dalga
ტყე (ტყ-ის; ტყე-ები)	orman
უდაბნო (უდაბნო-სი; უდაბნო-ები)	çöl
ფერდობი (ფერდობ-ის; ფერდობ-ები)	eğim
ქვა (ქვ-ის; ქვ-ები)	taş
ქვეყანა (ქვეყნ-ის; ქვეყნ-ები)	ülke
ღობე (ღობ-ის; ღობე-ები)	çit
ყანა (ყან-ის; ყან-ები)	tarla
ჩანჩქერი (ჩანჩქერ-ის; ჩანჩქერ-ები)	şelale (çağlayan)
ჩრდილოეთი (ჩრდილოეთ-ის)	kuzey
ხეობა (ხეობ-ის; ხეობ-ები)	vadi
ხეხილი (ხეხილ-ის)	meyve ağaçları
ხმელეთი (ხმელეთ-ის)	kara toprak

ზედსართავი სახელები / მიმღეობები	
ბეჯითი	çalışkan
გამომცხვარი	pişmiş
გამჭვირვალე	şeffaf
გარეული	yaban
დაფარული	örtülü
დასახლებული	yerleşme
დაუსახლებელი	yerleşmemiş
დახურული	kapalı
კამკამა	berrak
კეთილი	iyi
ლამაზი	güzel
მამაცი	yiğit
მკაცრი	sert
მორცხვი	utangaç
მორიდებული	çekingen
მოწყენილი	üzüntülü
მოძრავი	hareketli
მოზრდილი	yetişmiş
მრგვალი	yuvarlak
მშიშარა	korkak
მშრალი	kuru
მშრომელი	çalışkan
მშვიდი	sakin
მსხვილი	kalın
მხიარული	sevinçli
ნამდვილი	gerçek
ნესტიანი	nemli
ნოტიო	nemli (yaş)
რბილი	yumuşak
სასაცილო	gülünç
სასიამოვნო	memnun
საშიში	korkunç
სავსე	dolu
სუფთა	temiz
სუსტი	zayıf

ზედსართავი სახელები / მიმღეობები	
სველი	ıslak
უშნო	çirkin
უზარმაზარი	çok büyük
ფაფუკი	harman
ღია	açık
შემწვარი	kızartılmış
შინაური	evcil
ჩაფლული	gömülü
ცარიელი	boş
ცნობისმოყვარე	meraklı
ძლიერი	kuvvetli, güçlü
წვრილი	ince
წყნარი	sakin
ჭკვიანი	akıllı
ჭრელი	rengârenk
ჭუჭყიანი	kirli
ხალისიანი	neşeli
ხანგრძლივი	uzun süreli
ხმაურიანი	gürültülü

ძირითადი ზმნები	
აინტერესებს	merak ediyor
აკეთებს	yapıyor
ამოდის	çıkıyor
ამზადებს	hazırlıyor
ანათებს (მზე)	parlıyor (güneş)
ანთია	ışık yanıyor
ანგარიშობს	hesaplıyor
აპირებს	planlıyor, düşünüyor
აცვია	giyinmiş
აცხობს	pişiriyor
აწყვია	yerleşmiş
აღნიშნავს	kutlamak, belirtmek
არსებობს	mevcuttur
ახურავს	takmak
ბანაობს	yıkanıyor
იბანს	duş alıyor, yıkanıyor
ბინადრობს	yaşıyor
ბრუნდება	dönüyor
გასცქერის	bakıyor
გრილა	serin
გრძელდება	uzuyor
გუნდაობს	kar topu oynuyor
დადის (სიარული)	geziyor (gezmek)
დაიბადა	doğdu
დარბის	koşuyor
დებს	bırakıyor
დევს	duruyor
დგამს	dikiyor
დგას	duruyor
დგება	kalkıyor
დროს ატარებს	zaman geçiriyor
ერთობა	eğleniyor
ვახშმობს	akşam yemeği yiyor
ზეიმობს	kutluyor
ზის (ჯდომა)	oturuyor

ძირითადი ზმნები	
თამაშობს	oynuyor
თბილა	sıcak
თევზაობს	balık tutuyor
თოვს	kar yağıyor
იცის	biliyor
იცვლება	değişiyor
იცვამს	giyiyor
იკრიბება	toplanıyor
იკეთებს	yapıyor
იძინებს	uyuyor
იღვიძებს	uyanıyor
იწყება	başlıyor
იყიდება	satılıyor
იხურავს	kapatıyor
კითხულობს	okuyor
კიდია	asmak
კრეფს	topluyor
ლაპარაკობს	konuşuyor
მდებარეობს	bulunuyor
მიდის	gidiyor
მიფრინავს	uçuyor
მოაქვს	getiriyor
მოდის	geliyor
მოჩანს	görünüyor
მოსწონს	beğeniyor
მღერის	şarkı söylüyor
მუშაობს	çalışıyor
მხიარულობს	eğleniyor
რთავს	süslüyor
სცვივა	dökülüyor
საუზმობს	kahvaltı ediyor
სადილობს	öğle yemeği yiyor
სეირნობს	geziyor
სრიალებს	kayıyor
სვამს	içiyor

ძირითადი ზმნები	
სწავლობს	öğreniyor
სძინავს	uyuyor
უკეთია	takmak
უკრავს	çalıyor (enstruman)
ულოცავს	kutluyor
უსმენს	dinliyor
უწოდებს	uzattı
უყურებს	bakıyor, izliyor
უყვარს	seviyor
ქონება	malvarlığı (აქვს - var)
ქრის (ქარი)	esiyor (rüzgâr)
ყიდულობს	satın alıyor
ყიდის	satıyor
ყოლა	sahip olmak (ჰყავს - var)
ყოფნა	olmak (არის-var /იყო-vardı /იქნება-olacak)
ყვავის	açıyor (çiçek)
შლის	siliyor
ჩადის	batıyor
ჩუქნის	hediye veriyor
ცეკვავს	dans ediyor, oynuyor
ციგაობს	kızakla kayıyor
ცივა	soğuk
ცურავს / ცურაობს	yüzüyor
ცვივა	dökülüyor
ცხელა	sıcak
ცხოვრობს	yaşıyor, oturuyor
წერს	yazıyor
წევს	yatmış
წვება	yatıyor
წვიმს	yağmur yağıyor
ჭამს	yiyor
ხატავს	resim çiziyor
ხვდება (ახალ წელს)	karşılıyor (yeni yılı)
ჯდება	oturmak üzere
ჰგავს	benziyor

ფრაზები

1. დილა მშვიდობისა! – Günaydın!
2. საღამო მშვიდობისა! – İyi akşamlar!
3. ღამე მშვიდობისა! – İyi geceler!
4. გამარჯობა! – Merhaba!
5. სალამი! – Selam!
6. ნახვამდის! – Görüşmek üzere!
7. კარგად იყავი! – Hoşçakal!
8. ვინ არის ეს (ის)? – Bu kimdir (o)?
9. რა არის ეს (ის)? – Bu nedir (o)?
10. გაიცანი, ეს არის ჩემი ... ! – Tanış, bu benim .....dir.
11. მე მქვია ... – Benim adım ....'dir
12. მას ... ჰქვია. – Onun adı .....'dır.
13. როგორ ხარ? – კარგად. – Nasılsın? - İyiyim
14. რამდენი წლის ხარ? – Kaç yaşındasın?
15. სადაური ხარ? – თბილისელი, სტამბოლელი – Nerelisin - Tiflisliyim, İstanbulluyum.
16. სად ცხოვრობ? – Nerede oturuyorsun?
17. ესენი ჩემი ოჯახის წევრები არიან. – Bunlar benim ailemin üyeleridir.
18. რომელ სართულზე ცხოვრობ? – Kaçıncı katta oturuyorsun?
19. რომელი საათია? – Saat kaçta?
20. რომელ საათზე ...? – Saat kaçta?
21. წელიწადის რომელი დროა? – Yılın hangi mevsimidir?
22. როგორი ამინდი იქნება ხვალ? – Yarın hava durumu nasıl olur?
23. მოსალოდნელია სუსტი ქარი. – Hafif rüzgârlı olacak.
24. დაუბერავს ძლიერი ქარი. – Çok rüzgârli hava olacak.
25. ამინდი იცვლება. – Hava durumu değişiyor.
26. როდის გაქვს დაბადების დღე? – Doğum günün ne zaman?
27. როდის არის შენი დაბადების დღე? – Senin doğum günün ne zaman?
28. როდის დაიბადე? – Hangi tarihte doğdun?
29. რა ხდება ხვალ? – Yarın ne olacak (საღამოს? – bu akşam; 23 ოქტომბერს? – 23 Ekim?)
30. გილოცავთ დაბადების დღეს! – Doğum günün kutlu olsun!
31. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას! – Sağlık ve mutluluklar diliyorum!
32. ჩემთან გეპატიჟებით საღამოს 5 საათზე! – Bu akşam saat 17:00'de seni bize davet ediyorum!
33. აუცილებლად გელოდებით! – Muhakkak bekliyoruz!
34. რას აპირებ ხვალ? – Yarın ne yapıyorsun? ამ საღამოს? – Bu akşam? შაბათ-კვირას? – Cumartesi-Pazar? ზაფხულში? – Yazın?
35. ხვალისთვის რა გეგმები გაქვს? – Yarın ne yapmayı düşünüyorsun?
36. სად და როგორ ატარებ დროს? – Zamanını nerede ve nasıl geçiriyorsun?

ზმნური ლექსიკონი

ვინიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
ბანაობა	ვბანაობ/ბანაობს (1)	ვიბანავე/იბანავა	ვიბანავებ/იბანავებს
გაკეთება	ვაკეთებ/აკეთებს (2)	გავაკეთე/გააკეთა	გავაკეთებ/გააკეთებს
გამოცხობა	ვაცხობ/აცხობს (2)	გამოვაცხე/გამოაცხო	გამოვაცხობ/გამოაცხობს
გუნდაობა	ვგუნდაობ/გუნდაობს (1)	ვიგუნდავე/იგუნდავა	ვიგუნდავებ/იგუნდავებს
სრიალი	ვსრიალებ/სრიალებს (1)	ვისრიალე/ისრიალა	ვისრიალებ/ისრიალებს
სეირნობა	ვსეირნობ/სეირნობს (1)	ვისეირნე/ისეირნა	ვისეირნებ/ისეირნებს
გატარება	ვატარებ/ატარებს (2)	გავატარე/გაატარა	გავატარებ/გაატარებს
გაღვიძება	ვიღვიძებ/იღვიძებს (1)	გავიღვიძე/გაიღვიძა	გავაიღვიძებ/გაიღვიძებს
დაბანა	ვიბან/იბანს (2)	დავიბანე/დაიბანა	დავიბან/დაიბანს
დადგმა	ვდგამ/დგამს (2)	დავდგი/დადგა	დავდგამ/დადგამს
დადება	ვდებ/დებს (2)	დავდე/დადო	დავდებ/დადებს
დაკვრა	ვუკრავ/უკრავს (2)	დავუკარი/დაუკრა	დავუკრავ/დაუკრავს
დაძინება	ვიძინებ/იძინებს (1)	დავიძინე/დაიძინა	დავიძინებ/დაიძინებს
დაწერა	ვწერ/წერს (2)	დავწერე/დაწერა	დავწერ/დაწერს
ვახშმობა	ვვახშმობ/ვახშმობს (1)	ვივახშმე/ივახშმა	ვივახშმებ/ივახშმებს
თამაში	ვთამაშობ/თამაშობს (2)	ვითამაშე/ითამაშა	ვითამაშებ/ითამაშებს
თევზაობა	ვთევზაობ/თევზაობს (1)	ვითევზავე/ითევზავა	ვითევზავებ/ითევზავებს
მოკრეფა	ვკრეფ/კრეფს (2)	მოვკრიფე/მოკრიფა	მოვკრეფ/მოკრეფს
მომზადება	ვამზადებ/ამზადებს (2)	მოვამზადე/მოამზადა	მოვამზადებ/მოამზადებს
მოსმენა	ვუსმენ/უსმენს (2)	მოვუსმინე/მოუსმინა	მოვუსმენ/მოუსმენს
დახატვა	ვხატავ/ხატავს (2)	დავხატე/დახატა	დავხატავ/დახატავს
მუშაობა	ვმუშაობ/მუშაობს (1)	ვიმუშავე/იმუშავა	ვიმუშავებ/იმუშავებს
სადილობა	ვსადილობ/სადილობს (1)	ვისადილე/ისადილა	ვისადილებ/ისადილებს
საუზმობა	ვსაუზმობ/საუზმობს (1)	ვისაუზმე/ისაუზმა	ვისაუზმებ/ისაუზმებს
სირბილი	დავრბივარ/დარბის (1)	ვირბინე/ირბინა	ვირბენ/ირბენს
ყურება	ვუყურებ/უყურებს (2)	ვუყურე/უყურა	ვუყურებ/უყურებს
სწავლა	ვსწავლობ/სწავლობს (2)	ვისწავლე/ისწავლა	ვისწავლი/ისწავლის
შეჭმა	ვჭამ/ჭამს (2)	შევჭამე/შეჭამა	შევჭამ/შეჭამს
ცეკვა	ვცეკვავ/ცეკვავს (1)	ვიცეკვე/იცეკვა	ვიცეკვებ/იცეკვებს
ცურვა	ვცურავ/ცურავს (1)	ვიცურე/იცურა	ვიცურებ/იცურებს
ცხოვრება	ვცხოვრობ/ცხოვრობს (1)	ვიცხოვრე/იცხოვრა	ვიცხოვრებ/იცხოვრებს
ციგაობა	ვციგაობ/ციგაობს (1)	ვიციგავე/იციგავა	ვიციგავებ/იციგავებს
წაკითხვა	ვკითხულობ/კითხულობს (2)	წავიკითხე/წაიკითხა	წავიკითხავ/წაიკითხავს

საწყისი	S O ის (მას)	S O ის (მას)	S O ის (მას)
ადგომა	ვდგები/დგება (1)	ავდექი/ადგა	ავდგები/ადგება
დაწოლა	ვწვები/წვება (1)	დავწექი/დაწვა	დავწვები/დაწვება
წოლა	ვწევარ/წევს (1)	ვიწექი/იწვა	ვიწვები/იწვება
წყობა	აწყვია (1)	ეწყო	დაიწყობა
დება	დევს (1)	იდო	იდება

მანიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O მას (ის)	წარსული დრო S O მას (ის)
მოწონება	მომწონს/მოსწონს (2)	მომეწონა / მოეწონა
სიყვარული	მიყვარს/უყვარს (2)	შემიყვარდა/შეუყვარდა
დაინტერესება	მაინტერესებს/აინტერესებს (2)	მაინტერესებდა/აინტერესებდა
ნდომა	მინდა/უნდა (2)	მინდოდა/უნდოდა
რქმევა	მქვია/ჰქვია (2)	მერქვა/ერქვა
ქონა	მაქვს/აქვს (2)	მქონდა/ჰქონდა
ყოლა	მყავს/ჰყავს (2)	მყავდა/ჰყავდა
გაკეთება	მიკეთია/უკეთია (2)	მეკეთა/ეკეთა
შეცივება	მცივა/სცივა (1)	შემცივდა/შესცივდა
ჩაცმა	მაცვია/აცვია (2)	მეცვა/ეცვა
დახურვა	მახურავს/ახურავს (2)	მეხურა/ეხურა
ძილი	მძინავს/სძინავს (1)	მეძინა/ეძინა
ღვიძილი	მღვიძავს/ჰღვიძავს (1)	მეღვიძა/ეღვიძა

თავისებური ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S ის	წარსული დრო S ის	მომავალი დრო S ის
ყოფნა	ვარ/არის	ვიყავი/იყო	ვიქნები/იქნება
წასვლა	მივდივარ/მიდის	წავედი/ წავიდა	წავალ/წავა
ამოსვლა	ამოვდივარ/ამოდის	ამოვედი/ამოვიდა	ამოვალ/ამოვა
ასვლა	ავდივარ/ადის	ავედი/ავიდა	ავალ/ავა
გასვლა	გავდივარ/გადის	გავედი/გავიდა	გავალ/გავა
მისვლა	მივდივარ/მიდის	მივედი/მივიდა	მივალ/მივა
მოსვლა	მოვდივარ/მოდის	მოვედი/მოვიდა	მოვალ/მოვა
შესვლა	შევდივარ/შედის	შევედი/შევიდა	შევალ/შევა
ჩასვლა	ჩავდივარ/ჩადის	ჩავედი/ჩავიდა	ჩავალ/ჩავა
ჯდომა	ვზივარ/ზის	ვიჯექი/იჯდა	ვიჯდები/იჯდება
დაჯდომა	ვჯდები/ჯდება ვდგავარ/ დგას	დავჯექი/დაჯდა	დავჯდები/დაჯდება
დგომა		ვიდექი/იდგა	ვიდგები/იდგება
სიარული	დავდივარ/დადის (ის)	ვიარე/იარა (მან)	ვივლი/ივლის (ის)
მოტანა	მომაქვს/მოაქვს (ის/მას)	მოვიტანე/მოიტანა (მან/ის)	მოვიტან/მოიტანს (ის/ მას)
დალევა	ვსვამ/სვამს (ის/მას)	დავლიე/დალია (მან/ის)	დავლევ/დალევს (ის/ მას)